რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 16 მაისი 1917 წ.

93

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 47 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. რომ გაზეთის გზავნა დაუბრკოლებლივ ხდებოდეს' საჭიროა ფული კანტორამ რამდენიმე დღით ადრე მიიღოს.

---

17 მაისს, ოთხშაბათს ქალაქ თელავში ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაზე დილის 10 საათზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

გიორგი ხირსელის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებს ნათესავებს და ამხანაგებს განსვენებულის მეუღლე თამარ პატარა შვილები ტურკა და მზია, დედა ანნა, დები ბარბარე და ანნა და სიძე ალექ. ჩალაყაშვილი.

ჩოჩხათის საზოგადოების (გურია) სარაიონო კომიტეტი აცხადებს, რომ

ეგნატე ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცდასამი წლის შესრულების აღსანიშნავად, კვირას, მაისის 21, ეგნატეს სამშობლო სოფელ ჩანჩეთში (სად. ჯუმათთან) ეგნატეს საფლავზე მოხდება პატივსაცემი ყრილობა, რომლის დროსაც გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და გაიხსნება ეგნატეს სახელობის სამკითხველო.

ამისათვის ხსენებული კომიტეტი მოუწოდებს, როგორც გურიის, აგრეთვე სხვა ადგილების კომიტეტებსა და საზოგადოებათ, თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ და პატივი სცენ მათთვის ტანჯულ ადამიანს.

გულმოკლული ბიძანები აფრასიონ, კალისტო და იაგორ, ბიძაშვილები ვანო, მარო და შამშე ლომინაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს უდროვოთ გარდაცვალებას

ვისილა ონისიმეს ასულის ხომერიკისა.

დამწუხრებული თომა თეიმურაზის ძე კალანდაძე აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 16 მაისს, სამშაბათს, ს. ხიდისთავში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის

ბაბინეს

სულის მოსახსენებლათ.

ღრმად დამწუხრებულნი მიხაილ ალექსის ძე ქიქოძე, ქრისტინე გიგოს ასული ქიქოძისა, გიორგი და არსენ, ნადია ანტონის ასული და ნინა სტეფანეს ასული ქიქოძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გერმანიის ფრონტზე 8 აპრილს მტრის ტყვიით მოკლულ იქმნა პირველი ორის შვილის შვილი, ხოლო დანარჩენის დაუვიწყარი დისწული პარუჩიკი

ვლადიმერ (ლადიკო) მაქსიმელის ძე გოლიაძე,

რომელსაც ჩამოასვენებენ ამ დღეებში სოფ. დვაბზუში.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.
სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.
ოთხშაბათს, 17 მაისს სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის სცენის მოყვარეთა ფონდის გასაძლიერებლათ წარმოდგენილ იქნება:
ცხოვრების გარეშე.
დრ. 4 მოქ. პოტაპენკოსი, თარგ. ფოცხოველისა.
დასაწყისი სად. სწორეთ 8 ნახ. საათზე. ◆ ადგილების ფასი 20 კ-დან 1 მ. 49 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.
შემდეგი წარმოდგენა 25 მაის. ◆◆ რეჟ. კ. შათირიშვილი.

ბათუმის მესამე რაიონის დროებითმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო ამხანაგები ჩაეწერონ ამა თუ იმ ცეხში. ამისათვის მთელი რაიონი იყოფა რამდენიმე ცეხებათ.

ამხანაგებს ვთხოვთ გამოცხადდენ ქვემო დასახელებულ ამხანაგებთან, ვისაც სად უფრო ეხერხება და ჩაეწერონ:

1. ამხ. მ. დ. ჯიბლაძესთან, მესამე ნაწილის კომისარის სამართველო.
2. ამხ. კ. ს. გუგუნავასთან, ქალაქის თვითმართველობა.
3. ამ. დ. ქუნჭულიასთან, ქალაქის კავშირთა თავლა.
4. ამხ. დრაჩთან, ფოსტა ტელეგრაფის კანტორა.
5. ამხ. ი. ა. გოგილაძესთან, ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოება.
6. ამხ. მ. წულაძესთან, შპაევსკის სტამბა.
7. ამხ. ი. ქარცივაძესთან, თავართქილაძის სტამბა.
8. ამხ. ტ. ე. ჩხაიძესთან, აჭარის მომხმარებელთა ფურნე.
9. ამხ. ა. ხუხუნაშვილთან, დურგალთა არტელი.

დროებითი კომიტეტი მესამე რაიონისა.

იყიდება შაბიამანი
ელისაბედის ქუჩა № 164 საწყობი პონდოევისა. 5—4

ექიმი მღვდელი
ს. ა. ლეჟავა
შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52. 10—5

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გ. გ. შეგრაბიანი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისუფლშივენის, —ტიპით. დიდი სოლინოიდი [illegible] მოქმედება და არსონვალის ტოკეთა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭეჭების, სისხლ ნაკლებობის, ქეცოობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის [illegible]თმის, ბუასილის, და რევმატიზმისათვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ ი ყვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ქ. ქუთაისი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელების სახლი.

საყურადღებო დადგენილება.

დამფუძნებელი კრების მოწვევას აგვიანებენ. ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც თვალყურს ადევნებს დროებითი მთავრობის მოღვაწეობას.

ეს ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესია. მათ კარგათ იციან, რომ ახლო მომავალში რევოლიუციონური ტალღა დაიწევს, რევოლიუცია დაღმართში დაექანება და დემოკრატიის ძალა-გავლენა შესუსტდება. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვაჭარმრეწველთა წრეები თავიდანვე დამფუძნებელი კრების ომის დამთავრებამდე გადადებას ითხოვდენ. ამ ხნის განმავლობაში მართვა-გამგეობა სავსებით აიწეწ დაიწეწება. ეს აშკარაა მას შემდეგ, რასაც ჩვენ ვხედავთ რუსეთის ზოგიერთ კუთხეებში. ქ. ცარიცინს ჯარი დაეპატრონა და ის სავსებით აიკლო. მრავალ ადგილას მთავრობა ყოველივე ნდობას მოკლებულია. აქა იქ შავრაზმელებმა თავი წამოყვეს და თავისუფლათ დანავარდობენ. თუ ასე გაგრძელდა, ხალხის ერთი ნაწილი კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში გადიბარგება და „ძლიერი" მთავრობის შედგენას მოითხოვს. აი საუკეთესო ნიადაგი მონარქიის აღდგენის. ასეთი მაგალითი ისტორიამ მრავალი იცის. ბურჟუაზიულმა წრეებმა კარგათ იციან, რას ეტრფიან, და რას აკეთებენ.

გამოსავალი ერთათ ერთია: დამფუძნებელი კრების დაუყონებლივ მოწვევა. მხოლოდ საერთო ნდობით აღჭურვილ სახალხო წარმომადგენლობას ძალუძს ანარქია თავშივე ჩაკლას და სახელმწიფოს აშლილ-დაწეწილი საქმეები მოაგვაროს. მსოფლიო ომი მეტათ ხანგრძლივი გამოდგა. დადგა მომენტი, როცა აშკარათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი გაგრძელება ემუქრება რუსეთის თავისუფლებას. მერე რა გზით შეიძლება მისი დაბოლოვება?

რასაკვირველია არა გერმანიასთან სეპარატიული შეთანხმებით, არამედ საერთაშორისო დემოკრატიის ამოძრავებით და საყოველთაო ზავის ნიადაგის მომზადებით. ამ მხრივ დამფუძნებელი კრების ხმას მეტათ დიდი მნიშვნელობა ექნება. ჩვენ დავინახავთ, რომ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა მიმართვამ და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის წინადადების წამოყენებამ მთელი ევროპა აამოძრავა და იმპერიალისტები დააფრთხო. რაღა იქნება, როცა ამასვე გაიმეორებს მთელი რუსეთის ნდობით აღჭურვილი დამფუძნებელი კრება? ეს იქნება ზავისაკენ გადადგმული დიადი ნაბიჯი. მთელი მეომარი ქვეყანა დარწმუნდება, რომ რუსეთის რევოლიუცია მსოფლიო ომის მესაფლავეა, ამით იმპერიალისტთა წინააღმდეგ მოძრაობა გაძლიერდება და მათი დამარცხება გაადვილდება.

ამიტომაც ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილებას დამფუძნებელი კრების დაუყონებლივ მოწვევის შესახებ.

მარა საჭიროა წინასწარი მზადება, თვით მიყრუებულ კუთხეებშიც კი შეგნების სხივის შეტანა. უამისოთ შეიძლება დამფუძნებელი კრება კონტრრევოლიუციონერთა იარაღათ გადაიქცეს. ამის წინააღმდეგ საუკეთესო ზომათ უნდა ჩაითვალოს ქალაქთა და საერობო თვითმართველობათა დემოკრატიულ საფუძველზე განახლება. დღემდის ადგილობრივი თვითმართველობა პლუტოკრატიისა და მემამულეთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. ამიერიდან ის რევოლიუციის დარაჯი უნდა გახდეს და მის განვითარებას ხელი შეუწყოს. ეს შეიძლება ხელახალი, დემოკრატიული არჩევნების მოხდენით. ამ გზით ხალხი პოლიტიკურათ გამოიწვრთნება და დამფუძნებელი კრებისათვის მოემზადება.

სამწუხაროთ, მრავალი კუთხე მოკლებულია ადგილობრივ თვითმართველობას, მაგ. ამიერკავკასია ერობას. საჭიროა ასეთ ადგილებში თვითმართველობის დაუყონებლივ შემოღება და მისი დემოკრატიულ საფუძველზე აგება. ასეთია მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება. აი საუკეთესო გზა რევოლიუციის განმტკიცებისა და მის გამარჯვებით დაგვირგვინების.

მოითხოვეთ დამფუძნებელი კრების დაუყონებლივ მოწვევა!

სრულიად რუსეთის დემოკრატიის სიეზდი.

ძველი რეჟიმის ბედი პეტროგრადის აჯანყებამ გადასწყვიტა. ამიტომ რევოლიუციის სათავეში პირველყოვლისა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭო მოექცა. იგი გახდა საყოველთაოთ ცნობილი მეთაური დემოკრატიის, ხელმძღვანელი რევოლიუციურ ტაქტიკის. თავის ბეჯითი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით მან ყველა ქალაქების საბჭოთა ნდობა დაიმსახურა.

მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს.

მარა მიუხედავათ ამისა პეტროგრადი მთელი რუსეთი არ არის.

რევოლიუცია პეტროგრადმა დაიწყო, მაშინ, როცა დანარჩენ რუსეთში თითქმის ყველგან დაწყნარებული იყო მოძრაობა. მთელ რუსეთის სოფელსა და ქალაქს მოედო, ყველგან შესძრა ცხოვრება და მის ზედა პირზე ახალი მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოები ამოატივტივა, რომელნიც ადგილობრივ რევოლიუციურ ძალებს მეთაურობენ. პეტროგრადის რევოლიუცია—მთელი რუსეთის რევოლიუციათ იქცა, და მის მატარებლათ მთელი რუსეთის დემოკრატია.

რუსეთი ვრცელი და მრავალფეროვანია. მისი ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობები სხვადასხვა ადგილას ერთი მეორისაგან განსხვავებულია. აქედან რევოლიუციურ მოძრაობის ტემპი, მისი ფორმა და სახე ყველგან სხვადასხვაგვარია.

ცხადია მთელი ამ მოძრაობის გამომხატველის როლს დღეს პეტროგრადის საბჭო ვერ შეასრულებს. მიუხედავათ მისი უდიდესი მნიშვნელობისა, როგორც ცენტრში მყოფ ორგანიზაციისა, იგი მაინც ერთერთ ადგილობრივ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელსაც მხოლოდ პირველობის ხარისხი ეკუთვნის. მარა იგი იძულებული ხდება ყველას მაგიერ საერთო პოლიტიკა აწარმოვოს, მთელი რუსეთის დემოკრატიის სახელით მეტათ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას. ასეთია მაგ. კოალიციონურ სამინისტროში შესვლა. ამით იგი ერთგვარ რისკს ეწევა და ადვილათ შეიძლება საერთო თანაგრძნობა და მოწონება ვერ მოიპოვოს დანარჩენ რუსეთში.

ეს კი დემოკრატიულ ძალთა დაყოფას და დაქსაქსვას გამოიწვევს. ცხადია ამით დემოკრატია დასუსტდება.

ასეთ შედეგების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ყველა რევოლიუციონურ საბჭოების თავის მოყრა და ერთი საზოგადო სამოქმედო პლატფორმის შემუშავება. საჭიროა შექმნა ცენტრის, როგორც ხელმძღვანელი ორგანოსი, თანახმათ მთელი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის ნებისყოფისა. ყველა ამისათვის კი აუცილებელია სიეზდის მოწვევა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მთელი რუსეთის მუშათა სალდათთა და გლეხთა საბჭოები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება გვიკარნახებს ასეთ სიეზდის მოწვევის საჭიროებას.

რევოლიუციურმა დემოკრატიამ გამარჯვების პირველ დღეებში განსაზღვრული დემოკრატიული ლოზუნგები წამოაყენა ზოგადი ხასიათის. ეს იყო ძველ წყობილების ნაშთებთან ბრძოლა, თავისუფლების გამოცხადება, ერთა უთანასწორობის გაუქმება, დემოკრატიულ თვითმართველობების შექმნა, და დამფუძნებელ კრების მოწვევა.

რევოლიუცია თავის განვითარების და გაფართოების პროცესში ამწინასწარ დანიშნულ ფარგლებს შორს გასცილდა. მან მთელი რიგი ახალი საკითხები წამოაყენა და მათზე დაუყონებლივ პასუხი მოითხოვა. პირველი ასეთი საგანი იყო 8 ს. სამუშაო დღე, მეორე ომის საკითხი, რომელმაც გადამჭრელი როლი ითამაშა 19—21 აპრილს სამინისტრო კრიზისში, ახალი რევოლიუციონური გამოსვლები წარმოშვა და დროებით მთავრობის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებების შეტანა გამოიწვია.

შემდგარ კოალიციონურ სამინისტროს დეკლარაციაში ძველ მუხლებს ეს ახალი მუხლიც დაემატა: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდება და ამ მიზნით შესაფერი ნაბიჯების გადადგმა, ევროპის მეომარ სახელმწიფოთა მთავრობების და დემოკრატიის მიმართ, რათა მათი მიმხრობით ესეთ ზავისათვის ნიადაგი მომზადდეს.

მარა ცხოვრება შეუჩერებლათ მიექანება წინ. რევოლიუციის პროცესი ახალ-ახალ პრობლემებს შობს, რთულდება აგრარული საკითხი, იწყება ხანა გლეხთა აამოძრავების და მიწების დატაცების, რასაც დიდი დეზორგანიზაცია შეაქვს მოძრაობაში.

სასურსათო კრიზისი მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ჯარს, ისე მცხოვრებთ და ბნელ ძალებს კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას უადვილებს.

მრავალ-რიცხოვან ერებს, რომელნიც დღემდე დამონებულნი იყვნენ და რომელთა უფლებებს ძველი რეჟიმი ფეხქვეშ თელავდა, დღეს თავის მომავალ განვითარებისთვის შესაფერი გარანტიების საკითხი წამოაყენეს. ნაციონალურ მოთხოვნათა და ნაციონალურ ორგანიზაციათა შექმნის საკითხმა ჯარშიაც შეიჭრა და შიგ არა მცირედი მღელვარება და დეზორგანიზაცია გამოიწვია.

ამნაირათ ვერც ერთი წინდაწინვე შემუშავებული დეკლარაცია მთავრობის ვერ აღნუსხავს სავსებით მიმდინარე საჭიროებათა მთელ რიგს. ისინი არაა აღნუსხული არც კოალიციურ სამინისტროს დეკლარაციაში. ეს კითხვები კი სტიქიური ძლიერებით სდგებიან ჩვენს წინაშე და დაუყონებლივ პასუხს თხოულობენ. დაყოვნება ანარქიის გაძლიერებას გვიქადის.

ცხადია, არა მარტო დრ. მთავრობას, არამედ პირველ ყოვლისა მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოებს მოუხდებათ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, ამ საგნების დაწვრილებით გარკვევა და გადაჭრა. მან უნდა შესაფერი დირექტივები მისცეს თავის წევრთ, რომელნიც სამინისტროში გაგზავნა, მარა ცხადია ისიც, რომ ამას პეტროგრადი მარტო ვერ იკისრებს. ეს მის ძალასა და კომპეტენციას აღემატება. ყველა ეს კითხვები სრულიად რუსეთის რევოლიუციურმა დემოკრატიამ უნდა გადაჭრას. და აი ამ მიზნით 1 ივნისისათვის მოწვეულია სრულიად რუსეთის მუშათა და

სალდათთა და გლეხთა საბჭოების ყრილობა.

მხოლოდ ასეთ სიეზდს შეუძლია ამ კითხვებზე ავტორიტეტული პასუხი აგოს, და შექმნას ავტორიტეტული ცენტრი, რომელიც მისგან შემუშავებულ პლატფორმის ნიადაგზე განაგრძობს სრულიად რუსეთის დემოკრატიის სახელით და მხარის დაჭერით რევოლუციის გაძლიერებას და ხელმძღვანელობას.

ხალხის საქმე თვით ხალხმა უნდა იკისროს. მხოლოდ მას შეუძლია ისტორიულ, გადამწყვეტ მომენტში რევოლუციური მოძრაობის გადარჩენა ყოველგვარ საფრთხისაგან, რომელიც მას დამხობით ემუქრება.

პრესა.

კოალიციონურ სამინისტროს შედგენას ჩვენ თავიდანვე კრიტიკული თვალით შევხედეთ და მისგან მოსალოდნელ საფრთხე აღვნიშნეთ. [illegible] ზოგიერთი ძალათ [illegible] რევოლუციონერებს ეს ჩვენი დოქტრინიორობათ მოეჩვენათ და ირონიული [illegible] გვეკითხებოდნენ პეტროგრადის თანამოაზრეებზე ჩამოშორებას, მაგრამ სატახტო პარტიულმა გაზეთებმა სულ სხვა დაგვინახვეს.

იგი რას სწერს მაგ. „რაბოჩაია გაზეტა" 3 მაისის ნომერში:

„საგარეო და შინაური პირობები დღევანდელ მომენტში ისეთია, რომ ხელმწიფე ძალის თუნდ ერთი ნაწილის სოციალისტურ პარტიების ხელში გადასვლა შეუძლებელი [illegible] საჭიროც აღმოჩნდა თვით რევოლუციისა და მთელი ქვეყნისათვის.

ყველა თვალხილულისთვის ნათელია, რომ 18 აპრილს ლიბერალურმა ბურჟუაზიამ და ყველა იმ წრეებმა, რომელნიც მის მარჯვნით დგანან, აშკარად ბრძოლა გამოუცხადეს რევოლუციურ დემოკრატიას. [illegible], რომ პირველ იერიშის მოტანის შემდეგ ისინი იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ; ახალ-ახალი იერიშები კვლავ მოსალოდნელია და დემოკრატია [illegible] მოგერიებას ჩქარობს. საბუთი მრავალი და უეჭველია. მსხვილ ბურჟუაზიულ წრეების მიერ [illegible] მთავრობის დატოვება და სოციალისტური მინისტრებისთვის ადგილის დაცლა მხოლოდ ერთი ფორმა თავის დემოკრატიაზე თავდასხმის, რომელიც დღესაც ისევ გრძელდება [illegible] „დემოკრატიის ხელში" მართვა გამგეობის [illegible] და [illegible], მეტად რევოლუციური [illegible] სამშობლოს სიყვარულის [illegible] იმისთვის, რომ ასეთ მდგომარეობაში მთავრობაში შესვლაზე ხელი აეღოთ, ვინემ იმისთვის, რომ შიგ შესულიყვნენ.

როგორია ეს მდგომარეობა? მარჯვნით დგანან მსხვილი ბურჟუაზია მსხვილი და რამდენიმე საშუალო, ობივატელთა მთელი მასა, ყველა მემარჯვენე ელემენტები, მთელი პარტია „წესრიგებისა", რომელიც პოტენციალურად კონტრრევოლუციონურია და დღემდე ფარავდა თავის მტრულ [illegible] დემოკრატიისადმი.

მარცხნივ დგას დიდი უმრავლესობა პეტროგრადის პროლეტარიატის და შეიძლება მთელი რუსეთისაც, რომელიც დიდი იმედით და გაძლიერებული ყურადღებით ადევნებს თვალს მთავრობის ყოველ ნაბიჯს (და სრულიად სამართლიანად). წინ კი გვიდგა იმპერიალისტური ბურჟუაზია ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის, მისი სოციალური დამქაშებით, რომელთაც უკვე დაიწყეს გააფთრებული ბრძოლა რუსეთის რევოლუციის და რუსეთის ახალგაზრდა რევოლუციონურ დემოკრატიის წინაამდეგ, რომელიც საყოველთაო მშვიდობიანობის ჩამოგდებისკენ მიილტვის, მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შორის საერთაშორისო ძმობის აღდგენისკენ ისწრაფვის. ყველაფერს მიუმატეთ სხვა მრავალი შინაური და გარეშე რთული პრობლემები, რომლებიც ჰქმნიან [illegible] გზაზე, რომელიც ახალ მთავრობის აქვს გასავლელი".

ამას სწერს გაზეთი, იმის მეორე დღეს, რაც გადაწყდა სამინისტროში სოციალისტების შესვლა. [illegible] ძნელ გზაზე გამოხსნილი სიტყვით, [illegible] და სახიფათო მდგომარეობას ვერ დამალავს.

გაზეთი აშკარათ ამბობს, რომ „დამფუძნებელი კომიტეტის გადაწყვეტილება (სამინისტროში შესვლის შესახებ) [illegible] რევოლუციის [illegible] გადამწყვეტი შეტრიალების და ახალი ხანის დაწყება". [illegible] იმ მოვლის იმედს ეს გადაწყვეტილება ვერ მოჰგვრის ვერც იმათ, რომელნიც წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტების მონაწილეობის დრ. მთავრობაში დღეს-დღეობით და ვერც იმათ, რომელნიც ამით შესვლის საჭიროებას ჰხედავენ, რათა ამით გიხსნათ რევოლუცია და მთელი ქვეყანა ანარქიისა, არევ დაოფისა და კონტრ-რევოლუციისაგან.

მკითხველი აქედან ადვილად დაინახავს, რომ ს.-დ. შესვლა დრ. მთავრობაში არა პორტფელების წყურვილით, არამედ რევოლუციის დასახსნელად იმ საშინელი საფრთხისაგან, რომელიც მას მოელის. დაინახავს მასაც, რომ მდგომარეობა ახლა უფრო რთული, ძნელი და საშიშია, ვინემ წინეთ და აქედან შესაფერი დასკვნას გამოიყვანს. დემოკრატიას დიდი ვალი აწევს კისერზე. მან უნდა მთელი თავის პოლიტიკური გამჭრიახობა და ენერგია იხმაროს, რომ ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან იხსნას ნორჩი თავისუფლება.

ახლა მოუსმინეთ ამავე საგანზე ჩვენ ბრძენ სოც.-რევოლ. გაზეთს „ზნამია ტრუდა". იგი № 30-ის მეთაურში დიდი რიხით ესხმის თავს გვოზდევის და ნ. ჟორდანიას გამოსვლას ამ საკითხზე. გაზეთი დარწმუნებულია, რომ საქმე პიროვნებაშია; რაკი გუჩკოვ-მილიუკოვების ნაცვლად წერეთელი და ჩერნოვი ჩადგნენ სამინისტროში, რევოლუციის ბედი უზრუნველყოფილია. „ჩვენ ვამბობთ, სანამ ჩვენი ამხანაგები სოციალისტები მთავრობაში შედიან რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმე საიმედო ხელშია"...

ამ გაუსწორებელ უტოპისტებს დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ რევოლუციას ქმნის არა მთავრობა, არამედ ხალხი და არსებულ ძალთა განწყობილება. რომ ძალთა განწყობილება ჩერნოვის გამინისტრებით დემოკრატიის სასარგებლოთ გადმოხრილიყო, ჩვენც პირველი მივეგებოდით მას სიხარულით, თვით სოციალისტებიც უკანასკნელ წუთამდე არ გადასწყვეტდნენ და მიწოდებულ პორტფელს პირველ შეთავაზებისთანავე დაიტაცებდნენ. მარა ნამდვილათ კი მათ ხელში მოაჩეჩეს ეს პორტფელები. თვით „ზნამია ტრუდაც" აღნიშნავს, რომ პორტფელების მიღება სოციალისტებისაგან იყო „იძულებითი", „ნაძალადევი", რომ „სოციალისტებს არ სურთ დაასრულონ პროგრამა, რომელიც მათი სოციალისტური პროგრამა არ არის". მარა მათი ამხანაგების ძალით გამინისტრებითაც გაზეთი კმაყოფილია და [illegible] აღფრთოვანებული შეხვდის მინისტრ ამხანაგებს. პოლიტიკური დასკვნის აქედან გამოყვანა კი მის გონებისთვის [illegible].

და აი ასეთი გაზეთი სხვას უკიჟინებს „ბრომშიფრების" აზრს ვერ გასცილებიხართო. თვითონ კი ამ „ბრომშიფრებამდეც" ვერ ამაღლებულა.

⁂

ფედერალისტები ზეიმობენ, მათი პარტიული კონფერენცია დასრულდა, რის გამო მათი ლიტ. ორგანო „სახ. ფურცელი" უზომო სიხარულს ეძლევა და თავდაუჭერლათ ტრაბახობს:

„მეტად საყურადღებო იყო სიდინჯე, პარლამენტარული სხმიხნობა და გონებრივი სიმწიფე, რომელიც დელეგაციამ გამოიჩინა. სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენციამ დაგვიმტკიცა, რომ ქართველ ერში არის ძალა კულტურულ და ინტენსიურ შრომისა"...

ყველაფერი მოსწონს გაზეთს ფედერალისტების, ყველაფრით კმაყოფილია, მაგრამ ყველაზე მეტად ახარებს მას ფედერალისტების პარტიული პროგრამა.

„იშვიათი გამოდგა სოციალისტ ფედერალისტების პარტიული დებულებანი. მერეთ საუკუნის მდიდარი ცხოვრება, რევოლუციების, რეაქციების, ომების და მსოფლიო ამბების ხანა ვერ შეიქნა შემძლებელი და დამასუსტებელი სოც.-ფედერალისტების პროგრამის რომელიმე მუხლისა... ამ დიად პარტიას შეუქნია ისეთი ელასტიური პროგრამა, მოძღვრება, რომელიც ყოველ დიდსა და პატარა საზოგადოებრივს საკითხს აღფრთოვანებს... შუქურ ვარსკვლავივით ნათობს სოციალისტ-ფედერალისტთა მოძღვრება". (ხაზ-გასმული ჩვენია, მ.პ.)

თუ რა „იშვიათია" ფედერალისტების პროგრამა და რა მხრივ არიან „იშვიათნი" დებულებანი ამ დიად პარტიისა, ამაზე ჩვენ კიდევ ხშირათ გვექნება ლაპარაკი. აქ კი უნდა ერთი რამ აღვნიშნოთ ამ უზომო ტრაბახის გამო. მართალია, რომ ფედერალისტების პროგრამა არ შეცვლილა, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მათი პროგრამა სრულქმნილი იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს პროგრამა სრულებით არ არსებობდა; უკეთ ვსთქვათ, არსებობდა მხოლოდ ერთი პუნქტი პროგ.—ავტონომია, მაგრამ ისიც კი არ იყო განმარტებული; მაგ., სულ უკანასკნელ დრომდის ფედერალისტები ერთმანეთს ეკამათებოდენ, რომელ ტერიტორიაზე უნდა გავრცელდეს მათი ავტონომიის ბედნიერება, ისტორიულზე თუ ფაქტიურზე. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, მათ აქამდის არავინ იცნობდა, რადგან ისინი ცხრაკლიტულში იყვნენ დაკეტილნი და დიდი ხანია მტვერით დაიფარენ. ფედერალისტები იმდენათ ოსტატი—კონსპირატორები გამოდგენ, რომ არც ერთი მათი პოლიტიკური ნაბიჯის, არც ერთი მათი გამოსვლის დროს არავის არც ერთხელ არ მოუგონებია, რომ იმათ აქვთ რაღაც „სოციალისტური" პროგრამა.

ამხანაგების საყურადღებოთ.

მიმდინარე მომენტმა დიდზე დიდი მოვალეობა დააკისრა სოციალდემოკრატიულ პარტიას. როგორც ყველაზე უფრო გავლენიანი, ყველაზე მეტად ავტორიტეტული პარტია—ის პასუხისმგებელია იმაში, თუ როგორ მსვლელობას მიიღებს რევოლუციონური მოძრაობა. დამარცხება ამ მოძრაობის იქნება დამარცხება სოციალდემოკრატიის და პირიქით.

ცხადია, ჩვენმა პარტიამ მთელი თავისი ენერგია სწორეთ ახლა უნდა გამოიჩინოს, რათა მოელვარე სტიქიას თავისი ძლიერი ზეჰედი დაასვას. როგორც დღემდე, ისე დღეიდან შემდეგაც ჩვენი პარტია წინ უნდა უძღოდეს რევოლუციას და თავის დროზე არკვევდეს ყველა საჭირბოროტო საკითხს, რომელთაც ასე ჩქარა აყენებს წინ აბობოქრებული ცხოვრება.

ერთი უძლიერესი და უდიდესი იარაღი სოციალდემოკრატიის ხელში ბეჭდვითი სიტყვა არის. რევოლუციის შემდეგ მისი მნიშვნელობა ერთი ასათ გაიზარდა. საცა არ გაიხედავ ყველგან ლიტერატურული სიმშილია. თხოულობენ გაზეთებს და წიგნებს ჯარში, თხოულობენ პოპულიარულ ბროშურებს სოფლათ, ქალაქებში ხომ ჩვენს ლიტერატურაზე მოთხოვნილება ყოველ საზღვარს გადასცდა. ხალხი ძალუმათ ეწაფება სოციალდემოკრატიულ მოძღვრების წყაროს.

და ჩვენც ის უნდა მივაწოდოთ. მარა ამისთვის, გარდა იდეური ძალებისა, საჭიროა ფული, საჭიროა ტექნიკური საქმის მოწყობა.

ყველაზე მეტად აბრკოლებს საქმეს უსტამბობა. ჩვენ არ გვაქვს საკუთარი სტამბა, სადაც ჩვენი პარტიული გამოცემები უნდა იბეჭდებოდეს; კერძო სტამბებში, გარდა იმისა, რომ ყველაფერი ძვირათ ჯდება, თავის დროზე შეუძლებელია გაკეთება საქმის. უეჭველია საჭიროა პარტიას ქონდეს საკუთარი სტამბა, სადაც დაიბეჭდება როგორც გაზეთები, ისე ბროშურები და წიგნები. ეს აუცილებელი პირობაა თუ გვინდა, რომ სოციალდემოკრატიული ლიტერატურით მოვფინოთ ქალაქები და სოფლები.

წინ გვიდგას ქალაქის და სოფლის თვითმართველობათა რეორგანიზაცია ახალ საფუძველზე, ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება. საჭიროა პარტიის ლიტერატურული მოღვაწეობის გაძლიერება, გაფართოება. უნდა შევიძინოთ სტამბა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ამხანაგებმა ახლავე უნდა დააყენონ ეს საკითხი და მოკლე ხანში დადებითად გადასწყვიტონ იგი.

დრო მოცდას არ ითმენს! **ნ. ხ.**

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 11 მაისი.)

მინისტრ წერეთლის დეპეშა.

პეტროგრადი. ფოსტა ტელეგრაფის მინისტრმა ირაკლი წერეთელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა დაუგზავნა ფოსტა ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებს და მოსამსახურეთა ორგანიზაციებს: მე აშკარათ ვხედავ როგორ გაიგო პროლეტარიატმა და ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეებმა დღევანდელი მდგომარეობა, ამის მოწამეა ის აუარებელი მიმართვა, რომელიც მე მივიღე რუსეთის ყოველ კუთხის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან. მომავალ ფოსტა-ტელეგრაფის სრულიად რუსეთის სიეზდზე მოსამსახურენი ნათელ ჰყოფენ ფოსტა-ტელეგრაფის საქმის ამ მდგომარეობას რუსეთში. სამინისტრო ყურადღებას მიაქცევს ამ სიეზდის დადგენილებებს ფოსტა ტელეგრაფის საქმის მოწესრიგების დროს. მე კარგათ ვიცი, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა გაუმჯობესდეს მოსამსახურეთა მდგომარეობა. სიეზდზე ამ საკითხს დაწვრილებით განიხილავენ. შემდეგ ის აღნიშნავს რა დღევანდელ მდგომარეობას და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დიდ როლს დღევანდელ რევოლუციაში და მოუწოდებს მათ ყველას სინდისიერათ შეასრულონ თავის მოვალეობა.

ბრბოს სამართალი.

კოტელნი. [illegible] მაზრის ერთ სოფელში ტყის მცველს გლეხის [illegible] დააბრალეს. ბრბომ ის დაიჭირა, გაასამართლა და იქვე სისრულეში მოიყვანა განაჩენი. საბრალო ტყის მცველი ცოცხლათ დაფლითეს.

დროებით მთავრობის და მრეწველთა კრება.

პეტროგრადი. დროებით მთავრობის და მრეწველთა შეერთებულ კრებაზე ილაპარაკეს ჩერნოვმა და წერეთელმა, მათ იმედი გამოსთქვეს, რომ მრეწველები არა თუ მხარს დაუჭერენ დროებით მთავრობას [illegible] საჭირო ზომებს, არამედ შექმნიან ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის და კაპიტალის მოსაწესრიგებელ ზომების განხორციელებას. სკობელევი ეთანხმება ჩერნოვს და წერეთელს და ამბობს, რომ ჩქარა მთავრობის საკონტროლო ორგანოები დაწესდება იმ წარმოებებში, სადაც ყველაზე მეტათ საჭიროა ინტენსიური შრომა. დასასრულ დროებით მთავრობამ მიანდო ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის და შრომის მინისტრებს სასწრაფოთ შეიმუშაონ საჭირო ზომები.

მინისტრის ამხანაგები.

პეტროგრადი. დროებით მთავრობამ შრომის მინისტრის ამხანაგებათ დანიშნა კოლოკოლნიკოვი, დიმიტრიევი და გვოზდევი.

ცეცხლი.

ბოდაილი. ცეცხლმა გაანადგურა ვარშავის გზების სარკინიგზო დაწესებულების საწყობი, დაიწვა აუარებელი პური და მანქანები. ზარალი ნახევარ მილიონზე მეტია.

არეულობა.

მინსკი. ჯარისკაცები განაგრძობენ თავად სვიატოპოლკ-მირსკის მამულის განადგურებას ნოვო-გრუდსკის მაზრაში. დაწვეს სასახლე, ქონება გაანადგურეს. სხვათა შორის [illegible] დაიტაცეს ნივთები და 6000 მ. ფულათ. ეს ფულები ეკუთვნოდა თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომელსაც იქ შემთხვევით დაეტოვებინა. არეულობა გამოიწვია მეორე ღვინის საადუღმლო საწყობმა, რომელიც ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს. ამის გამო საკითხი აღიძრა ფრონტის ახლო ყველა კერძო ღვინის საწყობების მოსპობ.

ხალხის თავისუფლების პარტია და ავტონომიის საკითხი.

პეტროგრადი. კოკოშკინის მოხსენებით თვითმართველობის და ავტონომიის შესახებ ხალხის თავისუფლების პარტიამ შემდეგი რეზოლიუციები მიიღო: რუსული ენა უნდა იყოს ცენტრალურ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, ჯარში და ფლოტში სახმარებლათ. ადგილობრივ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში და სასწავლებლებში უნდა იხმარონ ადგილობრივი ენა ერის ნაციონალურ შემადგენლობის მიხედვით, რომ ნაციონალურ უმცირესობას უზრუნველყოფილი ქონდეს [illegible] და საოლქო ერთეულებს უნდა მიენიჭოს პროვინციალური ავტონომიის უფლებები, გამოსცეს ადგილობრივ [illegible] დეს ავტონომიის საზღვრებში [illegible] ცხოვრებაში გატარების. ადგილობრივმა ავტონომიამ გზა უნდა გაუხსნას ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილების კანონიერ დაკმაყოფილებას. ტერიტორიალურ ერთეულების შეერთების საკითხში უნდა მიეცეს ურთიერთშორის შეთანხმების უფლება. ცენტრალურ პარტიას დაევალოს გადასინჯოს ნაციონალური პროგრამა.

საარჩევნო უფლება.

ლონდონი. თემთა პალატამ შეუდგა საარჩევნო უფლების კანონ-პროექტის განხილვას.

ცეცხლი.

მინსკი. ცეცხლმა სრულიად ჩანთქა დაბა სვერჟენი, სულ გადიწვა. დაზარალებულთა უმრავლესობა ებრაელები არიან. უსახლკაროთ დარჩენილი ხალხი მინდვრათ ჰყრია, აწყობენ საჩქარო დახმარებას.

13 მაისი.

სამხედრო მინისტრის ბრძანება.

პეტროგრადი. ბრძანება არმიას და ფლოტს. ვუბრძანებ შემოიღონ არმიაში და ფლოტის ცხოვრებაში, 7 მარტის 1917 წლის მთავრობის დეკლარაციის მეორე მუხლთან შეთანხმებული შემდეგი ძირითადი წესები: 1) სამხედრო პირები სარგებლობენ მოქალაქის ყველა უფლებით; ამასთან ყოველი სამხედრო პირი ვალდებულია თავის მოქმედება შეუთანხმოს სამხედრო სამსახურს და დისციპლინას. 2) ყოველ სამხედრო პირს უფლება აქვს იყოს პოლიტიკურ, ნაციონალურ, სარწმუნოებრივ, ეკონომიურ და პროფესიონალურ ორგანიზაციის, საზოგადოების ან კავშირის წევრი. 3) ყოველ სამხედრო პირს შეუძლია სამსახურს გარეთ თავისუფლათ გამოთქვას თავისი პოლიტიკური, სარწმუნოებრივი ან სოციალური აზრი სიტყვით, წერილობით თუ ბეჭდვით. 4) სამხედრო პირნი სარგებლობენ რწმენის თავისუფლებით, ამიტომ არავის ნება არა აქვს აიძულოს მას რა სარწმუნოებაც უნდა ის იწამოს, არავის ნება არ აქვს ძალა დაატანოს მას რომელიმე სარწმუნოების წესები შეასრულოს და წირვაზე დაესწროს, საზოგადო ლოცვაზე დასწრება სავალდებულო არ არის. 5) ყველა სამხედრო პირი ექვემდებარება საზოგადოთ მოქალაქეთათვის სავალდებულო წესებს. 6) ყველა ნაბეჭდი გამოცემები პერიოდული თუ არა პერიოდული დაუბრკოლებლივ უნდა გადაეცეს ადრესატს, 7) ყველა სამხედრო პირს შეუძლია სამსახურს გარეთ თავისუფალი ტანისამოსი ატაროს, ხოლო სამხედრო ტანისამოსი სავალდებულოა ყოველ დროს იმ პირთათვის, რომელნიც იმყოფებიან მოქმედ ჯარში ან სამხედრო წრეებში, რომლებიც ბრძოლის ველზე არიან. ზოგიერთ დიდ ქალაქებში, რომლებიც ბრძოლის ასპარეზზე არის, ჯარის და ფლოტის მთავარ სარდლებს ნება ეძლევათ შეზღუდონ ნება სამხედრო პირთა თავისუფალი ტანისამოსი ატარონ; 8) სამხედრო პირთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების დროს სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო დისციპლინას და დამყარებული უნდა [illegible] და თავისუფალ რუსეთის მოქალაქის ღირსების გრძნობაზე; 9) განსაკუთრებული სიტყვები, რომლებიც ჯარში ხმარებაში არიან, მაგალითად: „ვაშე პრევოსხოდიტელსტვო", „ნიკაკ ნეტ", „ნე მოგუ ზნატ", „რადი სტარატსია", „ზდრავია ჟელაიემ", „პოკორნეიშე ბლაგოდარიუ", უნდა შეიცვალოს ამ სიტყვებით: [illegible] და სხვ; 10) [illegible] ჯარისკაცების [illegible] ისპობა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც [illegible] გალითად მოქმედ ჯარში, ფლოტში, გემებზე [illegible] ამის საჭიროება კი პოლკის კომიტეტმა უნდა გამოიკვლიოს. ოფიცრებს და სამხედრო ჩინოვნიკებს ნება ეძლევათ დაიქირაონ მსახურები. ასეთივე ნება ეძლევათ სამხედრო მღვდლებს და მოხელეებს; 11) ის [illegible], რომლებიც პირად სამსახურს ეწევიან არ თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან; 12) სამხედრო სალამი („ჩესტი") არა-სავალდებულოა, [illegible] რუმინეთის, დამარხვის და სხვა დროს კომანდებში და ჯარის ნაწილებში სამხედრო პატივისცემის [illegible] რჩება. ბრძანება „სმირნო" (სმირნო) ისევ ისე რჩება. როგორც იყო წინათ; 13) იმ სამხედრო ნაწილებში, რომლებიც ბრძოლის ველზე არიან, სამხედრო პირთ უფლება ეძლევათ, სამსახურის შემდეგ თავისუფლათ წავიდნენ ყაზარმებიდან და გემებიდან, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში თავის უფროსს უნდა შეატყობინოს და პიროვნების მოწმობა მიიღოს, ჯარის ყველა ნაწილებში უნდა დარჩეს მორიგე როტა, გემებიდან კომანდის ისეთი ნაწილის განთავისუფლება შეიძლება, რომელიც ხელს არ შეუშლის გემის საჭიროების დროს გემი დაიძრას; 14) არც ერთი სამხედრო პირი არ დაისჯება გაუსამართლებლათ, ხოლო ბრძოლის პირობებში უფროსს უფლება ეძლევა პირადი პასუხისმგებლობით ყოველივე ზომები მიიღოს, იარაღიც იხმაროს მისი ხელქვეითების წინააღმდეგ, რომლებმაც მისი ბრძანება არ შეასრულეს; 15) აიკრძალოს ისეთი დასჯა სამხედრო პირთათვის, რომელიც მის პატიოსნებას შეჰბღალავს და აგრეთვე ფიზიკურ ტანჯვას აყენებს. შენიშვნა: აიკრძალოს [illegible] დასჯა; 16) იმ სასჯელის ხმარება, რომელიც დისციპლინარულ [illegible] მიეცემა აგრეთვე ყველა ის უფროსი, ვინც დაარტყამს თავის ხელქვეითს სამსახურში ან მის გარეთ; 17) მიწერ-მოწერა [illegible] ტელეგრაფის მიერ; 18) თანამდებობებზე დანიშვნის და დათხოვნის უფლება ეძლევა უფროსებს (?) [illegible] აგრეთვე უფლებს [illegible] ჯარის მომზადების შესახებ. დასჯის და კონტროლის და შინაურ თვითმართველობის საკითხებში უფლება ეძლევა ჯართა არჩეულ ორგანიზაციებს. ეს ცხადდება რა ამ ბრძანებას, მოვითხოვ მის ზედმიწევნით შესრულებას.

სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი.

სამხედრო მინისტრის ბრძანება.

პეტროგრადი. ომის დაწყებიდანვე რუსეთში აიკრძალა მაგარი სასმელების გაყიდვა. მაგარი სასმელი ძველი მთავრობის ხელში ერთი [illegible] იარაღი იყო ბნელი ხალხის [illegible]. ის აბრუებდა ხალხს, [illegible] მის სინდისს და გრძნობას, გონებას, რომ დიდხანს გაეგრძელებინა თავისი ჯალათური ბატონობა. ძველი მთავრობა მოკვდა, მაგრამ დარჩნენ მისი აგენტები, რომლებიც ცდილობენ [illegible] განადგურებას, [illegible] ძველი წეს-წყობილება—ჩაგვრა მონობის, უკანონობის და მათრახის განხორციელება. მე გავიგე, რომ ზოგიერთი ჯარის ნაწილები, ისეთი ბნელი ძალების წაქეზებით, ამტვრევენ ღვინის სარდაფებს, იპარავენ და საზიზღარ უწესობას ახდენენ, თუ ეს ასე გაგრძელდა რუსეთის ახალგაზრდა თავისუფლება ჩქარა სიმთვრალის მორევში ჩაიხრჩობა. მე როგორც თავისუფლების დამცველი, ფლოტისა და ჯარის უფროსი მოვითხოვ ამ უწესობის შეწყვეტას. მოვითხოვ, რომ ყველა კომიტეტებმა და უფროსებმა სასტიკი ზომები მიიღონ ამ საზიზღარ უწესობების ასალაგმავად, წაჰკითხონ ყველგან ეს ბრძანება. მე მოვითხოვ [illegible] ყველა საწყობებთან დააყენონ შეიარაღებული ჯარის [illegible]. თავისუფლება საფრთხეშია! ჩვენ [illegible] დავიცავთ თავისუფლებას. სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი.

ბრაზილია ომს აცხადებს.

ვაშინგტონი. აქაურ პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ამბობენ, რომ ბრაზილია გერმანიას ომს გამოუცხადებს.

ფრონტის ყრილობა.

ადესა. გაიხსნა რუმინიის ფრონტის ჯარების ყრილობა. ყრილობას პირველად მიესალმა ხსენებულ ფრონტის მთავარსარდალი გენერალი შჩერბაჩევი.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 13 მაისი. დასავლეთის [illegible] და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებით სროლა. [illegible] 17 [illegible] კავკასიის ფრონტზე, ვანის სამხრეთით ოსმალთა იერიში შევაჩერეთ.

მფრინავების მოქმედება. რიგის სამხრეთ [illegible] აღმოსავლეთით მტრის [illegible] აგრეთვე [illegible] ზარზეჟანის რაიონში, ზარზეჟანის სამხრეთით [illegible] გდეს; მფრინავები [illegible].

პარიზი. 11 მაისი [illegible] დროგამოშვებით არტილერიის სროლა [illegible] რაიონში.

ბალკანეთში, [illegible] რაიონში დროგამოშვებით არტილერიის სროლა. [illegible] ბრძოლა [illegible] სწარმოებს.

ლონდონი. 11 მაისი. ბრიტანიის ტრანსპორტი „ტრანსილვანია" ხმელთა შუა ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. დაიღუპა 29 ოფიცერი და 373 ჯარის კაცი, დაიღუპა [illegible] და 9 მატროსი.

რომი. 11 მაისი. კარსის რაიონში ჩვენმა მესამე არმიამ მტრის ბრძოლის ხაზი გაარღვია და ჯანნანის შალლობები დაიკავა. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 9000 ჯარისკაცი, მათ შორის 300 ოფიცერი.

დეპეშა.

(სპ. კორ.)

ახალ სენაკი. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო ზომები დეზერტირების წინააღმდეგ. ზომებმა გასჭრა, დეზერტირები ათასობით მოდიან დროშებით. არც ერთი დეზერტირი არ რჩება, ყველანი დიდის ხალისით მიდიან ფრონტისკენ. ანდრო.

ახალი ამბები

მუშათა და გლეხთა ყრილობა. მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ ამ თვის მოწვეულია თბილისში მუშათა და გლეხთა ყრილობა მთელი კავკასიისა. საჭიროა ახლავე იქნას არჩეული წარმომადგენლები, მუშათა საბჭოები ირჩევენ ათასზე ერთს. ხოლო გლეხები ქუთაისის გუბერნიაში იგზავნებიან მაზრის აღმასრულებელი კომიტეტიდან თითოდან ოთხს, თბილისის და სხვა გუბერნიიდან გლეხთა სარაიონო საბჭოდან იგზავნება თითო. მუშათა საბჭო, რომელიც ერთეულს არა ნაკლებ რვაასისა, გზავნის ერთს, თუ ნაკლებია — უერთდებიან ახლომახლო საბჭოებს და ერთად გზავნიან. დელეგატები უნდა ჩამოვიდნენ 192, სასახლეში, მუშათა საბჭოში, საიდანაც წაიყვანენ ბინებზე.

✦ **თბილისის თვითმართველობის და ტრამვაის მოსამსახურეთა საქმე**. კვირას 14 მაისს შედგა კრება შემრიგებელ კამერისა ტრამვაის მოსამსახურეთა და ქალაქის თვითმართველობის შორის ამტყდარ უთანხმოების მოსაგვარებლად. არსებითად საკითხს არ შეეხო კრება, ვინაიდან გამოირკვა, რომ კამერის გადაწყვეტილება საბოლოო არ ყოფილა. გამგეობის წევრმა ამ. არგუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა: თქვენი თავმჯდომარე და შემდეგ თქვენი დადგენილებანი შესახებ მსჯელობას იქონიებს ქალაქის საბჭო, რომელსაც შეუძლია თქვენი გადაწყვეტილება მოიწონოს ან არა. რადგანაც ორივე მხარის წარმომადგენელთა აზრით ქალაქის ამგვარი დადგენილება კითხვას აზვავებდა და შეიძლება გაფიცვამდეც გამოეწვია, კრებამ დაადგინა: მიეცეს წინადადება ქალაქის საბჭოს, რათა მან შემრიგებელ კამერას მიანიჭოს საკითხის საბოლოო გადაჭრის უფლება, და ეს გადაწყვეტილება სავალდებულო იქნეს ორივე მხრისთვის.

✦ უცნობმა მოქალაქემ რომელმაც ი. ავისი ვინაობის გამომჟღავნება არ მოისურვა, საოლქო კომიტეტს რ. ს. დ. მ. პარტიისათვის შემოსწირა 2,000 მანეთი.

✦ **პროვოკატორი ნიკო დავითის ძე მიქაძე**. მილიციის უფროსმა კიჩხოვმა 13 მაისს ღამით დააპატიმრა პროვოკატორი ნიკო დავითის ძე მიქაძე, რომელიც ჟანდარმერიას ცნობებს აწვდიდა ს. დემოკრატიულ პარტიის ცხოვრებიდან „ავლაბარსკის“ ფსევდონიმით.

✦ „**ალიონის**“ რედაქცია კვირას 21 მაისს სახალხო სახლში მართავს ვ. ფარჩიაშვილის დილას. დილის პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

✦ კვირას, 14 მაისს მეხუთე უბანში მოხდა უბნის მცხოვრებლების საერთო კრება, სასურსათო კომიტეტში შვიდი წევრის ასარჩევად, ხალხი ბლომად დაესწრო. კრება გახსნა ალ. ვაშაკიძემ, აირჩიეს თავმჯდომარეთ ამხანაგი ვ. ხარეფშელი, აირჩიეს აგრეთვე ორი თანაშემწე, თათარი და სომეხი. მდივნად ვ. კვირიკაძე, ორატორების ლაპარაკის შემდეგ, ხელის აწევით მოხდა არჩევნები, არჩეულები აღმოჩნდენ შემდეგი პირები: 1) ვ. კვირიკაძე, ფერშალია, 2) შალიბ კობიევი ებრაელი, 3) მაშადი ისრაფილ გუსეინოვ, 4) ალაპკერ ალი ზადე, 5) არუთინ გუკასოვ, 6) ავაბაბოვ მასწავ., 7) ვ. ნაფეტვარიძე. კანდიდატები: 1) ალი აბას აბადოვ, 2) გაბრო ოქროპირაშვილი, 3) გაბრო ჩიკვაიძე, 4) ვ. გარიბოვ, 5) ა. მუგრიკიან, 6) ისლამიგ ხალილოვ.

✦ **ქურდობა**. ამ ბოლო ხანებში ქურდობა ძალიან გავრცელდა თბილისში. ქოლია ყოფიანს მოპარეს ჩოხა, ქუდი, ქამარი და დის კაბა. მეცხრე უბანი ქურდების ბუდეა, მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

✦ ახალციხის მაზრიდან ტელეგრამით სთხოვენ განსაკუთრებულ კავკასიის კომიტეტს, რათა მან გაგზავნოს ახალციხის მაზრაში დელეგატი ადგილობრივი ორგანიზაციის მოსაწყობათ.

✦ რადგან წვრილი ქურდების და ჯიბგირების აღმოჩენა და დაჭერა ბრკოლდება მომრიგებელ მოსამართლეთა ნელი მუშაობით, ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა, ქალაქის მილიციის უფროსის თხოვნის თანახმად დაადგინა მიღებულ იქნას განსაკუთრებული ზომები ქურდების წინააღმდეგ სასამართლოსადმი დამოკიდებულებით.

✦ ამავე აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა თხოვოს საოლქო სასამართლოს, რათა მან დააჩქაროს და რიგის გარეშე განიხილოს საქმეები ნიხრის დარღვევის შესახებ. შემდეგ შესაბამისი საქმეები მომრიგებელ სასამართლოს გადაეცემა.

✦ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის გამომძიებელ კომისიამ დაადგინა დატოვოს მაძებარ ძაღლების საწრთვნელი ბინა დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

✦ ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარემ სთხოვა ამიერ კავკასიის განს. კომიტეტს გადაეცეს კავშირს საცენზურო არხივში შენახული ქართული პიესების ხელნაწერი და წიგნები, რადგან ქართული თეატრის დაწვის დროს ამნაირები ცეცხლმა შთანთქა. კომიტეტმა თხოვნა დააკმაყოფილა.

✦ ბაგრატ მ. მერაბიშვილის სახსოვრად, რომელიც გარდაიცვალა აპრილის 12, გამოუწერე გაზეთი „ერთობა“ შვიდი თვით სოფელ კასპის აღმასრულებელ კომიტეტს კოლა მერაბიშვილმა.

✦ **ფრონტის ყრილობის ქართველ დელეგატთა** კრებამ იქონია მსჯელობა ნაციონალისტების მიერ დაარსებულ ქართველ მხედართა კავშირზე და სცნო დღევანდელ პირობებში ასეთი კავშირის არსებობა შედეგების მხრით მავნებლად. აირჩიეს ორი ჯარისკაცისგან შემდგარი კომისია კავშირის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლათ.

✦ ახლო მომავალში საგუბერნიო სასოფლო კომისია გამოსცემს ყოველ კვირეულ საგლეხო ქართულ გაზეთს.

✦ ჩრდილოეთ კავკასიიდან იუწყებიან, რომ იქ უკვე დაიწყეს არჩევნები მომავალ მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობისთვის. არმავირმა აირჩია ორი.

✦ 13 მაისს თბილისის საქალაქო სასაკლაოს მუშებმა, სასაკლაოს დირექტორს ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს. მუშები თხოვენ: ვისაც წლიურად ეძლეოდათ 360 მ., 420 მ. და 480 მ., მიეცეთ ახლა 960 მანეთი; გარდა ამისა, ვინც ბინით არ სარგებლობს სასაკლაოზედ, მიეცეს ბინის ფასი 240 მ. წლიურად; რადგან სასაკლაო ძალიან დაშორებულია ქალაქიდან დაწესდეს მუშების საქალაქო ხარჯით წაყვან-მოყვანა; სადამდინაც ტრამვაი მიდის, მიეცეთ ტრამვაის უფასო ბილეთები. დანარჩენი მოსამსახურენიც ამ დღეებში წარუდგენენ მოთხოვნილებას ჯამაგირების მომატების შესახებ.

✦ ამ დღეებში გამოვა ან—ს წიგნი „ჩვენ და ფედერალისტები“. წიგნის ღირებულება შვიდი შაური, აგენტებს დაეთმობათ ათი პროცენტი. მისამართი ქ. გორი, მუშათა დეპუტატების საბჭოს კიოსკი.

✦ 29 მაისს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა. დადგმება შალვა დადიანის პიესა „მღვიმეში“. ეს პიესა საზოგადოებისთვის უცნობია, დაწერილია 1906 წ. რომლის წარმოდგენა აქამდის არ ხერხდებოდა. წარმოდგენას მართავს მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი.

✦ რადგანაც ყოველივე მასალა ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ გამოსაცემათ ერთი ხუთათ გაძვირდა, გამომცემლობა იძულებულია მომავალი № 21-დან ჟურნალის ფასი 20 კ.-მდე გაადიდოს.

✦ კანტორა „განათლებაში“ საჭიროა გაზეთის დამტარებლათ სანდო და ყოჩაღი კაცი.

✦ **სამგლ. წერილი**. ღრმად დაგვაღონა შეგნებული ადამიანის ვისილა ონისიმეს ასული ხომერიკის უდროოთ გარდაცვალებამ. ვუერთებთ ჩვენს ცრემლებს მისი მშობლების მწუხარებას და ნაცვლად გვირგვინისა, რომლითაც უნდა შეგვემკო განსვენებულის ცხედარი, გიგზავნით 15 მ., რომლიდგანაც გთხოვთ 2 ცალი გაზეთი ჯარისკაცებს გაუწეროთ ორ-ორი თვით და დანარჩენი მოახმაროთ „გაზ. „ერთობის“ ფონდს. ტარიელ, მარო, ერმალო, პიროსი, ფეფემია, ეფროსინე, პეტრე, მარო და ელენე.

✦ 9 მაისს ილიკო ტატალაშვილს ამოაცალეს წიგნაკი, რომელშიც თავისუფლების ქაღალდი იყო. აგრეთვე ნატარიუსის ნასყიდობის ქაღალდი, ოქროს საათი, ორი ბეჭედი და სხვა ქაღალდები. მნახველს სთხოვენ ქაღალდები მაინც მოიტანონ. ჩემი ადრესი Тифлиская губ. Горійск. уѣзда с. Метехи Илико Таталашвили.

✦ 9 მაისს პირველი რაიონ. კოლექტივმა გადაწყვიტა უმთავრეს სახელოსნოებში გაავრცელოს პარტიული გაზეთები „ერთობა“ და „ბორბა“.

კრებები და მიტინგები

ოთხშაბათს, 17 მაისს საღამოს 8 საათზე მესამე საქალებო გიმნაზიაში ტერ-აბრამიანცი წაიკითხავს მოხსენებას. თემა: „კლასთა ბრძოლა.“ შემდეგი მოხსენება იქნება „ნაციონალურ კითხვაზე“. მოხსენებას წაიკითხავს ალიხანიანი პარასკევს 19 მაისს იმავე შენობაში.

ხუთშაბათს 18 მაისს მარგარიანი გაიმეორებს თავის ლექციას მეხუთე სავაჟო გიმნაზიაში (ავლ-ბარში) ჯარში გაწვეულ მასწავლებელთა ბიუროში.

16 მაისს, დილის 9 საათზედ საფერშლო შკოლაში (მიხეილის საავადმყოფოსთან შესასვლელი დიდი მთავრის ქუჩა № 51) მოხდება წინასწარი კრება სრულიად კავკასიის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებისა. ამიტომ დაჟინებით სთხოვენ ყველა სოციალ-დემოკრატ დელეგატებს და აგრეთვე არა დელეგატებსაც უეჭველად დაესწრონ კრებას, რადგანაც კრება განიხილავს მეტად საჭირო კითხვებს.

— ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია ოთხშაბათს, 17 მაისს საღამოს 7 ს. დეპუტატთა საკრებულოში.

პროვინციის ქრონიკა.

აბაშის რაიონი. 30 აპრილს მთელ რაიონში მოხდა სასოფლო კომიტეტის არჩევნები. არჩევნები ყველგან მშვიდობიანად ჩატარდა, თითქმის ყველგან სასურველი პირებია არჩეული, ყველგან სოც. დემ. მიმდევრები აირჩიეს.

— 1 მაის დ. აბაშაში მოხდა ახლად არჩეულ კომიტეტის წევრების რაიონული კრება. კრების მთავარი მიზანი იყო სარაიონო კომიტეტის და კომისარის არჩევა.

— 30 აპრილის არჩევნების კანონიერობის შესამოწმებლად კრებამ აირჩია სამანდატო კომისია: ბათ. ნადარეიშვილი, იოს. ჟუჟუნაშვილი და ნიკ. სირბილაძე (სოც.-რევ.) არჩევნების კანონიერათ ცნობის შემდეგ ფარულ კენჭის ყრით არჩეულ იქნა 11 კაცისგან შემდგარი სარაიონო კომიტეტი სამი კანდიდატით: კოლია ჯიბლაძე, ლუკა დავითაია, იონა კუხალეიშვილი, ვლადიმერ ჭანტურაია, ნინა ქავჯარაძის ასული ბუაძისა, არტემ ფანცულაია, გრიგოლ ნადარეიშვილი, მამანტი კეკელია, გიორგი დუნდუა, ბარნაბა ძველაია და გიორგი ბოკერია; კანდიდატებათ: ბათლ. ნადარეიშვილი, კონსტანტინე მიქაძე და იონა ქექერაძე. რაიონის კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: თავმჯდ. მამ. კეკელავა, ამხანაგათ ბარ. ძველაია, მდივანი არ. ფანცულაია.

ს. ონტოფო. 30 აპრილს კომიტეტში არჩეულ იქნენ: არტემ ფანცულაია, ბართლომე ნადარეიშვილი, ლუკა დავითაია, იონა კუხალეიშვილი, ბარნაბა ძველაია; კანდიდატებათ: კონსტ. ნადარეიშვილი, ტრიფონ დავითაია და ბართლ. გადელია.

მერეთის საზოგადოებაში (გორის მაზრა). 30 აპრილს მოხდა მერეთის საზოგადოების ყრილობა, სასოფლო კომიტეტის არჩევნებთ. დიდი ხმის უმეტესობით აირჩიეს ს. დ. კანდიდატები: 1) ილიკო წერეთელი, 2) ნინა აბულაძე, 3) ვასილ კაპანაძე, 4) რომანოზ ვაზნაძე, 5) ერმილე პაპიაშ., 6) თემურაზ სახარაძე, 7) არსენ ლაბაძე, 8) მიხა ცერცვაძე, 9) ანტონ ბიწაძე, 10) პარმენ ქერქაძე, 11) ვიქტორ ტაბატაძე, კანდიდატებათ: ვლადიმერ სამხარაძე, ნესტორ თარანძე, გიდევან ლაბაძე.

ქ. ლანჩხუთი. კვირას 30 აპრილს მოხდა სახარტიშვილის ხე-ტყის სამრეწველოს მუშათა კრება. ხელმძღვანელ ორგანიზაციის წევრებათ აირჩიეს: პართენ ჯაგვარიძე, ლადიკო მჟავია, ვარლენ მზევალაძე, გიორგი ლომიძე, სერაპიონ ჩომაძე, შაქ. ღურჭაძე და ერმალო წილოსანი.

ამავე კრებაზე გადაწყდა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას სამუშაოზე ყველა ის პირები რომელნიც ჩაწერილი არიან სამუშაოზე და არ მუშაობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამრეწველოს გამგეს სრული უფლება ეძლევა მათი ვინაობა გააგზავნოს სამხედრო უწყებას.

ს. ზედა მაღლაკი. აქ არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც სრულებით არ ასრულებს თავისს მოვალეობას. ამაში მთავარ ბრალი ედება გამგეობას, რომელიც სათანადო ერთგულობით და მზრუნველობით არ ეპყრობა ერთადერთი კულტურულ დაწესებულებას. წმინდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს იპოვნის აქ კაცი გარდა მუშათა ჟურნალ-გაზეთებისა. გამგეობას ეს გაზეთები სრულიად განუდევნია სამკითხველოდან. და თავს იმით მართლულობს, რომ ყველა ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სამკითხველოს არ შეუძლია, საკვირველი თავის მართლებაა. სამკითხველოს გამგეობა ვერ არის რიგიანი და თავის საქმეს არ ასრულებს.

გუდაუთი. 18 აპრილს, ს. დ. პარტიის, ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოების ინიციატივით გაიმართა 1 მაისის აღსანიშნავათ მიტინგი. ილაპარაკეს რამოდენიმე ორატორებმა 1 მაისის მნიშვნელობაზე.

— საბჭო დაუღალავათ მუშაობს. მათი მოწოდებით მოაგროვეს 3 ათასი მანეთამდე სახალხო სასადილოს გასახსნელად.

— საბჭომ გადააყენა პიცუნდის მონასტრის გამგე, როგორც არაკეთილ საიმედო პირი. დაატუსაღეს და გამოკითხვის შემდეგ სოხუმის ციხეში გაგზავნეს.

სამხრეთ რუსეთის სოც.-დემოკრატიული კონფერენცია.

ამ დღეებში ხარკოვში მოხდა სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია სამხრეთ რუსეთისა. დაესწრო 34 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 13 სათათბირო ხმით.

თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. დევდარიანი. ის მიესალმა კონფერენციას:

ამხანაგებო! ადგილობრივი ორგანიზაციული კომიტეტის სახელით მოგესალმებით თქვენ, ჩვენი პირველი კონფერენციის დელეგატებს. ისტორიამ დიდი როლი არგუნა ჩვენს პარტიას. რუსეთის უდიდეს რევოლიუციაში მას უკავია პირველი ადგილი. საჭიროა, რომ ამ დიდ იდეურ გავლენას შეეფერებოდეს ჩვენი ორგანიზაციული სიძლიერე. საწუხაროთ ეს ასე არ არის. პარტია, როგორც მტკიცე ორგანიზაცია ჩვენ ჯერ არ გვყავს. ჩვენ მოვედით აქ სხვათა შორის მისთვის, რომ შევუდგეთ იმის შენებას. პარტია, როგორც ორგანიზაცია, არ არსებობს 1907 წლის ლონდონის სიეზდის შემდეგ. ლეგალიზმის და გამცემლობის შეხუთულ ჰაერში საღი პარტიული სხეულის არსებობა შეუძლებელი იყო. მაგრამ პარტიის იდეური მიმართულება არ მომკვდარა, მისი სულიერი მემკვიდრეობა ამ საშინელ წლებში არ დაფანტულა. თუმცა ეს სამწუხაროა, მაგრამ სწორეთ ამ რევოლიუციის ხანაში ჩვენი პარტიის იდეური სიმდიდრე მუშათა მოძრაობას შეუსისხლხორცდა. შემთხვევით 1905 წელში ჩვენთან მოსულ, მერე ჩვენგან გაქცეულ და ჩვენ მოღალატე ზოგ ინტელიგენტების ადგილს მოვიდა მუშათა ინტელიგენცია. შევუდგეთ საქმეს ახალი ძალებით. დიდი კითხვები გვაქვს გადასაწყვეტი. უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება ომთან, დროებით მთავრობასთან. რუსეთის მუშათა პარტიის გადაწყვეტილებას, მის პოლიტიკურ ყოფაქცევას ამ კითხვებში დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც რუსეთის, ისე მთელი ქვეყნის ინტერნაციონალისთვის. ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს დიდი პასუხისმგებლობა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ის ძველი წვრილმანი უთანხმოებანი, რომელიც აქამდის ჩვენ ერთად მუშაობას ხელს უშლიდა. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ერთი შემაერთებელი პოლიტიკური ხაზი. და ამ ხაზზე თავი მოუყაროთ სხვადასხვა პარტიული მიმდინარეობის წარმომადგენლებს. პარტია არ ზღუდავს აზრის თავისუფლებას, ჩვენი მოქმედება კი ყოველთვის უნდა დაუმორჩილოთ პარტიის დადგენილებებს. ნება მომეცით გავხსნა პირველი კრება კონფერენციის და უსურვო მას ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ მიესალმენ კონფერენციას სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელნი. ყველა მისალმებაში ერთი აზრი იყო გატარებული: საჭიროა ფრაქციულ შეურიგებლობას ზურგი გავაქციოთ და ერთი მთლიანი ორგანიზაციული ძლიერი პარტია შევქმნათ. დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: მოხსენება ადგილებიდან, დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან, ომთან, ჯარისკაცთა და მუშების საბჭოებთან, საზოგადო კომიტეტებთან, დამფუძნებელი კრება, მუშათა საკითხი, გლეხთა საკითხი, სოციალისტურ პარტიებთან დამოკიდებულება და სხვ.

ომის შესახებ მოხსენება გააკეთა თვით თავმჯდომარემ: ომის შესახებ არსებობს ორი შეხედულება ნაციონალური და ინტერნაციონალური. ნაციონალური შეხედულება ამბობდა, ჯერ თავდაცვა მერე ზავი. ამ მიმართულებას ახლო ედგა დამარცხების მომხრე მიმდინარეობა ლენინელები. ისინიც ერთი მხრით რუსეთის დამარცხებაში ეძებდენ ხსნას.

ეს მიმართულება დაამარცხა სინამდვილემ. მართლაც არ შეიძლებოდა ვილჰელმის მოწვევით რუსეთის გადარჩენა. მეორე მხრით თავდაცვა უარყოფს ზავის სურვილს. დაიბადა მეორე მიმდინარეობა ინტერნაციონალური ჯერ რევოლიუცია, მერე ზავი საერთაშორისო საფუძველზე. ამ გზას დაადგა პეტროგრადის მუშების და სალდათების საბჭო. მაგრამ მას ერთგვარი ცალმხრივობა მოუვიდა: მან მოუწოდა გერმანიის ხალხს ჩამოაგდეთ ტახტიდან ვილჰელმიო. არაფერს ამბობს ის საფრანგეთის და ინგლისის მთავრობაზე; ისინიც ისეთივე იმპერიალისტები არიან, როგორც ვილჰელმი. მეორე მხრით მოწოდება ვილჰელმის გადაყენების შესახებ ეროვნულ უტაქტობაა. რუსეთის დესპოტიზმის მოსპობა ადვილი იყო, რადგან მან გაამხედრა თავის წინააღმდეგ ყველა კლასები, მაშინ როცა ვილჰელმი შეძლებული კლასების, აგრარიების და მსხვილი მრეწველების ინტერესების გამომხატველია, ამიტომ მას ადვილად ვერ წაართმევთ ტახტს. იმის თქმა კი, რომ სანამ არ ვიცით, როგორ მოეპყრობა გერმანიის ხალხი ვილჰელმს—ჩვენ მოვუწოდებთ, რა ჯარის კაცთ სანგრებში, მუშებს ქარხნებში, ფაქტიურათ ომის გაგრძელებას ნიშნავს. საბჭო არღვევს ერთი ხელით მას, რასაც აშენებს მეორე ხელით. ჯერ შეიძლება კითხვის ასე დაყენება: სანამ ომი გრძელდება ჩვენ თავს ვიცავთ. ყველა ასე ამბობს გერმანელები, ბოლგარელები, ავსტრიელები და სხვა. არავინ იცის როდის გათავდება ეს „ჯერ.“ ჩვენ ერთი გზა უნდა ავირჩიოთ. ჩვენ ერთი, სამშობლო გვაქვს, ეს არის ინტერნაციონალი. მუშების და სალდათთა საბჭომ უნდა მოიწვიოს საჩქაროთ ინტერნაციონალი, ის შეიმუშავებს ზავის პირობებს და საერთო ძალებით ვეცდებით ომის დაბოლოვებას. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელმაც მთელი სხდომა გასტანა. დიდი პრინციპიალური უთანხმოება არ ყოფილა. თავდაცვის მომხრეები ამბობდენ მხოლოდ კითხვის გვერდის ახვევა არ შეიძლება. ომი გრძელდება. თქვენ ორში ერთი უნდა უბრძანოთ ჯარისკაცებს: დაიცავით საზღვრები, ან მიატოვეთ ფრონტი. მომხსენებელის მომხრენი ამბობდენ ჩვენ არ ვუწუნებთ არც ერთს, არც მეორეს. ჩვენ იძულებული ვართ ომში ჩვენი სურვილის წინააღმდეგ მონაწილეობა მივიღოთ. უნდა ვაკეთოთ კი ის, რაც გვსურს, ე. ი. ომს ბოლო მოვუღოთ. რეზოლიუცია ამ კითხვის შესახებ გამოიტანეს შემდეგ სხდომაზე. მისი ტეხსტი ასეთია.

თანამედროვე ომი იმპერიალისტურია. ის არავის თავისუფლებას არ მოუტანს. მას აწარმოებენ მხოლოდ დაპყრობისთვის, ეკონომიური და პოლიტიკური დამონებისთვის. ამიტომ საერთაშორისო დემოკრატიამ მას ბოლო უნდა მოუღოს. ნაჩვენებია ორი გზა. ერთი მხრით ჩვენი პარტიის ცენტრები ცდილობენ დაუყონებლივ მოიწვიონ კონგრესი. ის შეიმუშავებს ზავის პირობებს. მეორე მხრით რუსეთის დემოკრატიამ უნდა აიძულოს დროებითი მთავრობა, რომ მან მოლაპარაკება გამართოს ყველა მეომარ სახელმწიფოებთან. ყველა ფრონტებზე უნდა შეჩერდეს ომი, მოწვეულ უნდა იქნას საერთაშორისო ზავის კონფერენცია.

შემდეგი კითხვა—დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან. მომხსენებელია გურევიჩი (Бэръ). თანამედროვე რევოლიუცია ბურჟუაზიულია, მაშასადამე მართვა გამგეობაც მის ხელში უნდა იყოს. პროლეტარიატმა რომ ქვეყნის მართვა-გამგეობას ხელი მოკიდოს, მას დაღუპავს [illegible]. მუშათა და სალდათების საბჭოს ადვილად შეეძლო და შეუძლია რუსეთის მართვა-გამგეობა ხელთ იგდოს, მაგრამ ამას ის ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომ მან დროებითი მთავრობის შედგენა ბურჟუაზიულ პარტიებს აკისრებინა, იმ პირობით, რომ ის დემოკრატიას არ უღალატებდა. დროებითი მთავრობა შინაურ საქმეებში მუშათა და სალდათთა საბჭოსთან შეთანხმებით მუშაობს. საგარეო საქმეებში კი გადაუხვევია ამ გზას. 27 მარტის ნოტაში ის თითქოს დაეთანხმა დემოკრატიას, მაგრამ 18 აპრილის აქტმა გააუქმა პირველი ნაბიჯი. საგარეო კითხვებზე შეტაკება გამოიწვევდა შეტაკებას შინაურ პოლიტიკაში ც. კითხვა დგებოდა ასე: ან დროებით მთავრობასთან ან მის წინააღმდეგ. უთანხმოება თითქოს მოისპო, მაგრამ მთავრობის საკითხი გადაუჭრელი დგას. როგორ უნდა მოვიქცეთ? პროლეტარიატი ვერ წაართმევს მართვა-გამგეობას დროებით მთავრობას, დაწყება სამოქალაქო ომის კონტრ-რევოლიუციის დასაწყისი იქნება. მხარის დაჭერა სანამ დროებითი მთავრობა ასრულებს და სხ. შეუძლებელი ხდება, რადგან ჩვენ გვეშინია განხეთქილების დროებით მთავრობასთან. დარჩა ერთი გზა დროებითი მთავრობა უნდა შევსებულ იქნას დემოკრატიის წარმომადგენლების მიერ. მაგრამ სოციალ დემოკრატია კი მთავრობაში შესვლას უნდა შეუდგეს. ჩვენ ყოველ ღონით უნდა ვეცადოთ სამოქალაქო ომი არ მოხდეს. ეს უნდა ვიმოქმედოთ ლეგალურ ნიადაგზე. ამ მოხსენებამაც დიდი კამათი გამოიწვია. აქ პრინციპიალურმა უთანხმოებამ იჩინა თავი. ბოლშევიკების აზრით ბურჟუაზიამ მოატყუა პროლეტარიატი, რომ ასე არ მომხდარიყო პროლეტარიატს შეეძლო თავის დიქტატურა გამოეცხადებინა. კოალიციური სამინისტროში შესვლის ისინიც წინააღმდეგნი არიან.

რეზოლიუციის შინაარსი ამ საკითხზე ასეთია: დროებით მთავრობა უნდა ასრულებდეს დემოკრატიის სურვილს საგარეო და შინაურ საქმეებში. მას კონტროლს უწევს მუშების და ჯარისკაცთა საბჭო. ჩვენ მოვითხოვთ, რომ დროებით მთავრობამ გამოაქვეყნოს საიდუმლო ხელშეკრულებები, მოვითხოვთ ზავს უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ და სხვა. საჭიროა, რომ დროებითი მთავრობაში შევიდნენ დემოკრატიის წარმომადგენელნი, მაგრამ ს. დ. ამ მთავრობაში არ უნდა შევიდნენ.

ყველა აქტები დროებით მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს მუშების და სალდათების წარმომადგენელთა მოლაპარაკების შემდეგ.

ამის შემდეგ დაისვა საკითხი შეერთების შესახებ. მომხსენებელია იგივე გურევიჩი.

მენშევიზმი და ბოლშევიზმი ეხლა აღარ შეიცავს ძველ შინაარსს. უთანხმოებას ეხლა სულ სხვა ხასიათი აქვს. შეერთების სურვილი დიდია, კონფერენციას 68 დელეგატი დაესწრო, მათ შორის 54 შეერთებული ორგანიზაციიდან იყვნენ. საჭიროა შეერთება პროგრამის და წესდების ნიადაგზე. საერთო პლატფორმის (ტაკტიკის) შემუშავების სურვილი ფაქტიურათ უარყოფს შეერთებას. ორატორი მოითხოვს შეერთებას ადგილობრივ. შემდეგ ცენტრში თავისთავად მოხდება. შეერთებული ორგანიზაციები არ ემორჩილებიან არც მენშევიკების, არც ბოლშევიკების ცენტრებს. ის აგზავნის დელეგატებს ორივე ფრაქციების კონფერენციებზე მისთვის, რომ მოითხოვოს შეერთება. მოკლე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა მომხსენებლის რეზოლიუცია-შეერთება პროგრამის და წესდების ნიადაგზე და სხვა. ამის შემდეგ ხარკოვის ორგანიზაციის ბოლშევიკებმა განაცხადეს: ჩვენ დავალება გვაქ შეუერთდეთ მარტო მენშევიკებს ინტერნაციონალისტებს, აბორონცებს ჩვენ ვერ შეუერთდებითო და კრება დატოვეს. სხვა ორგანიზაციის ბოლშევიკები დარჩენ.

შემდეგ გადაწყდა საოლქო კომიტეტის არჩევა. საოლქო გაზეთათ აირჩიეს ხარკოვის მეუმცირესეთა გაზეთი „სოციალ დემოკრატი“.

სოციალისტურ პარტიებთან დამოკიდებულობის შესახებ ერთხმად გადაწყდა შემდეგი: შეერთება სოციალ. რევოლიუციონერებთან შეუძლებელია. შეიძლება მათთან ზოგიერთ შემთხვევებში ხან გამოსვლა ბლოკი. მხოლოდ არჩევნების დროს როგორც ადგილობრ. თვითმართველობაში, ისე მომავალ დამფუძნებელი კრების მოწვევის დროს პარტია დამოუკიდებლად, საკუთარი დროშით გამოდის.

დამოკიდებულება მუშათა და სალდათების საბჭოებთან. ამ კითხვის დროს ერთხმად აღნიშნულ იქნა, რომ ამ ორგანოს აგრეთვე სა-

ზოგადო კომიტეტს ბევრი ძალები გაყავს პარტიიდან. კონფერენცია აღნიშნავს თვის რეზოლიუციაში, რომ პარტიის წევრები ან წარმომადგენლები ქმნიან საბჭოებში საკუთარ ფრაქციებს. მასთანავე მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ამ ორგანოს საკანტროლო მნიშვნელობა აქვს. კომისარის როლი პარტიის წევრს არ შეფერის და არ უნდა იკისროს.

კონფერენციამ განიხილა სესხის საკითხიც. მომხსენებელმა პრივ. დოცენტმა ტრანტენბერგმა დაამტკიცა რამდენათ მავნებელია ის დემოკრატიისთვის. რეზოლიუციას, რომ ს.-დ. უნდა უარყოს სესხი ხმა მისცეს თავდაცვის მომხრეებმაც.

ასეთი რეზოლიუციები კონფერენციის სადღეისო კითხვებზე რაც შეეხება რეზოლიუციებს მუშათა აგრარულ, შემრიგებელ კამერების და სხ. რეზოლიუციები მიღებულ იქნა თანახმათ პროგრამის მუხლებისა. მათ უთანხმოება სრულებით არ გამოუწვევიათ. კონფერენციამ გადაწყვიტა პროტოკოლები ცალკე წიგნათ გამოსცეს და გაავრცელოს.

დასასრულ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ კონფერენციამ დაიკავა ე. წ. ინტერნაციონალური პოზიცია. მან უარყო რევოლიუციონური თავდაცვის პოლიტიკა და მას იდეიური ბრძოლა გამოუცხადა. როგორც უკანასკნელი ცნობა გადმოგვცემს მარტოვი და აქსელროდიც მოუწოდებენ ამხანაგებს რევოლიუციონურ თავდაცვის წინააღმდეგ პროპაგანდა გასწიონ.

ა.

კავკასიის ოლქის ფოშტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდი.

9 მაისს აღნიშნულმა სიეზდმა დაამთავრა დღის წესრიგში შეტანილი პოლიტიკური ხასიათის კითხვათა განხილვა.

ამ დღეს სიეზდის სხდომას დაესწრნენ საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულნი ნოე ჟორდანია და დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. ისინი მიესალმენ სიეზდს და უსურვეს ნაყოფიერი მუშაობა. მათ სთქვეს, რომ ფოშტასა და ტელეგრაფს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და განსაკუთრებით ეხლანდელ მომენტში. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები, როგორც ყოველთვის ეხლაც დაამტკიცებენ თავიანთ შეგნებულ რევოლიუციონერობას და ორგანიზაციული შეგნებულის მუშაობით ხელს შეუწყობენ რევოლიუციის გაღრმავებას. კრებამ ამათ ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა. საპასუხოთ სიეზდის სახელით სიტყვა უთხრა მათ თავმჯდომარის ამხანაგმა კურცხალიამ.

პოლიტიკური კითხვებზე რეზოლიუციები მიიღეს. შემდეგ ამხანაგმა ვიქ. ნინიძემ უსურვა სიეზდს, რომ გადაწყვეტილებანი და რეზოლიუციები გაეტარებინათ ცხოვრებაში. თავმჯდომარის ამხანაგმა კურცხალიამ სიეზდის სახელით მადლობა გადაუხადა მას მუშაობაში დახმარებისათვის. რითაც გაუადვილა მათ შრომა პოლიტიკური კითხვების განმარტებაში. აგრეთვე სთხოვა მას გულითადი სალამი გადაეცა სიეზდისაგან პროპაგანდისტთა კოლეგიისათვის. ვ. ნინიძემ მადლობა შეწირა სიეზდს პატივისცემისათვის და აღნიშნა, რომ ეს მადლობა და აპლოდისმენტები ეკუთვნის არა პირადათ მას, არამედ სოციალდემოკრატიულ პარტიას, რომლის სახელით ის გამოდიოდა. ვ. ნინიძე კრებამ ხანგრძლივის ოვაციებით დააჯილდვა.

აქვე მოგვყავს სიეზდის მიერ მიღებული რეზოლიუციები სხვა და სხვა კითხვებზე, რომელიც ვ. ნინიძის მიერ იქნა წარდგენილი.

„მომენტისა და ტაქტიკის“ შესახებ: „ამიერ კავკასიის ფოშტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდმა განიხილა რა მომენტისა და ტაქტიკის შესახებ კითხვა დაადგინა: თავის მახლობელ პოლიტიკურ მიზნათ სიეზდი ისახავს რევოლიუციის დემოკრატიულ რესპუბლიკამდე მიყვანას. ამ ბრძოლაში პროლეტარიატი ორგანიზაციულათ შეკავშირებული უნდა მოქმედებდეს ყველა იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც იმავე პოლიტიკური მიზნისაკენ მიისწრაფვის. ნაციონალური, მუშათა და მიწის საკითხების გადაჭრაში პროლეტარიატი დგას რა რადიკალურათ გადაჭრის საფუძველზე და იბრძვის რა მიწის კონფისკაციისათვის ხალხის სასარგებლოთ, რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა მთლიანობის დაცვისათვის ის ყოველგვარი ეკონომიური და სხვა კითხვათა მოსაწესრიგებლათ მიმართავს მორიგებითი საშუალებებს დაინტერესებულ მხარეთა შორის. დაბოლოვებითი გადაჭრა ყველა ზემოჩამოთვლილი კითხვებისა უნდა მიენდოს დამფუძნებელ კრებას.

8 საათის სამუშაო დღისა და აგრარული საკითხის შესახებ სიეზდმა უცვლელათ და სავსებით მიიღო რეზოლიუციები, სრულიად რუსეთის მუშათა დეპუტატების საბჭოთა სიეზდზე შემუშავებული.

„დროებ. მთავრობ. დამოკიდებულების“ შესახებ. სიეზდი იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რევოლიუციონური დემოკრატიის კანტროლი აუცილებლად საჭიროა დროებითი მთავრობისათვის და მას შემდეგ კი რაც სამინისტროს შემადგენლობაში შევიდნენ დემოკრატიის წარმომადგენლები არსებითად არაფერი შეცვლილა, ამიტომ სიეზდი საჭიროთ სცნობს, რომ დემოკრატია დარჩეს ისევ ძველ პოზიციაზე და განაგრძოს დროებითი მთავრობასთან პირობითი ნდობა და მხარი დაუჭიროს მას იმდენათ, რამდენათაც ის განმახორციელებელი იქნება რევოლიუციონური დემოკრატიის ინტერესებისა.

„დამფუძნებელი კრების“ შესახებ. ყველა იმ მოპოვებულ უფლებათა შესანარჩუნებლად, რომელიც ხალხმა მოიპოვა რევოლიუციის დროს და აგრეთვე მრავალ მნიშვნელოვან კითხვათა რადიკალურად გადასაჭრელად და ცხოვრებაში გასატარებლათ, სიეზდი აუცილებელ საჭიროდ სცნობს ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევას. დამფუძნებელი კრების მოწვევის დროს არავითარი საერთო არ უნდა ქონდეს ომის გათავებასთან. ჯარმა უეჭველად მონაწილეობა უნდა მიიღოს არჩევნებში განურჩევლად წლოვანებისა. დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით განურჩევლად სქესისა, ნაციისა და სარწმუნოებისა.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

ქ. ოზურგეთი.

კვირას, 7 მაისს ადგილობრივი თეატრის შენობაში შესდგა რ. ს. დ. მ. პ. ოზურგეთის სარაიონო ორგანიზაციის წევრთა დამფუძნებელი კრება. კრებაზე გამოცხადდა 500 მდე პარტიის წევრი. გურიის კომიტეტის დავალებით მოკლე სიტყვით მიმართა კრებას ციმბირიდან ახლათ დაბრუნებულმა ამხ. გ. შილაკაძემ.

კრებამ განიხილა გურიის კომიტეტის მიერ შემუშავებული წესდება. ამ წესდების თანახმათ პირველ პარტიულ უჯრედს შეადგენს სოფელი, რომელიც თვითეულ ოც წევრზე ირჩევს ერთს წარმომადგენელს სარაიონო კოლექტივში. საზოგადოება შეადგენს რაიონს, რომელიც თვითეულ 100 წევრზე ირჩევს ერთა წარმომადგენელს გურიის ცენტრალურ კომიტეტში. როგორც სარაიონო კოლექტივები, ისე ცენტრალური კომიტეტი ირჩევენ თავის მხრით პრეზიდიუმს, აღმასრულებელ კომიტეტს და სხვა. ეს წესდება კრებამ მცირე კამათის შემდეგ მიიღო და დაამტკიცა.

დასასრულ მოხდა არჩევნები—სარაიონო კოლექტივისა და გურიის კომიტეტის წევრთა, არჩეული იქნენ სარაიონო კოლექტივში 25 წევრი: გ. შილაკაძე, ვიქ. ღლონტი, მიხ. საბაშვილი, ს. ცხომელიძე, ყ. ქარცივაძე, ი. უშვერიძე, ს. დოლიძე, პელაგ. ქარცივაძე, ვიქ. კანდელაკი, ყარ. თოთიბაძე, ილ. ლომაძე, ივ. ბ. ღლონტი, ის. კვაჭანტირაძე, მახ. ცეცხლაძე. ბარ. მენაბდე, გრ. დოლიძე, ის. ბასილაიშვილი, ევგ. სალუქვაძე, ილ. ცხომელიძე, ესტ. ტრაპაძე, კირ. ჯაყელიძე, ლ. ჩავლეშვილი, კ. ღლონტი, ვიქ. ხელაძე და ელენე ლომინაძე.

გურიის კომიტეტში აირჩიეს: გიორგი შილაკაძე, ვიქ. ღლონტი, მიხ. საბაშვილი, ივ. ბ. ღლონტი და ის. კვაჭანტირაძე.

ხუხეინ.

ხარაგაულში.

7 მაისს, კვირას გაიმართა ადგილობრივ ორგანიზაციის საერთო კრება, სადაც გამოცხადდა 200-მდე წევრი. კრებას ხსნის დროებითი კომიტეტის წევრი სტ. ალავერდოვი რომელმაც მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა კრებას. შემდეგ იმუშავებენ დღის წესრიგს, 1) საწევრო გადასახადი 2) რაიონული წრეები და 3) არჩევნები. საწევრო გადასახადის შესახებ კრება ადგენს: ჯარისკაცები სრულიად განთავისუფლებული იქნას გადასახადიდან, დანარჩენები კი თვიური შემოსავლიდან იხდიან ორ პროცენტს. მეორე კითხვის შესახებ გადაწყტა, რომ იქნას შედგენილი რაიონული წრეები. არჩევნების შესახებ დაადგინა, რაიონულ წრეების მოწყობამდის დარჩეს კომიტეტი და მას მოემატოს ექვსი წევრი. სულ კომიტეტში შედის 13 წევრი.

ნაპერწკალი.

სამტრედია.

მაისის 5-ს შესდგა პირველი კრება სამტრედიის რაიონის ს. დ. კომიტეტისა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოებებში, თანახმად წესდებისა, დაარსებულა სოფლების კუთხური ს. დ. ორგანიზაციები, აურჩევიათ 5—7 ხელმძღვანელ პირებისაგან ორგანიზაციები. ყოველივე 30 წევრზე თითო წარმომადგენელი საზოგადოების კოლექტივებში და ყველა პარტიის წევრების, საზოგადოებებში, ყრილობაზე 100-ზე თითო წარმომადგენელი სარაიონო ს. დ. კომიტეტში, პარტიული გადასახადი მიუღიათ სოფლებში 20 კ. და რკინის გზაზე 40 კაპ. თვეში. წარმომადგენლები იყვნენ შემდეგი საზოგადოების კოლექტივებისაგან: რკ. გზიდან, ეწერიდან, ჯიხაიშიდან, ჭაგნიდან, სამტრედიიდან, ტოლაბიჯრიდან, გამოჩინებულიდან, გომიდან, და კულაშიდან. საპაიჭაოდან არ ყოფილა. დაევალა მეზობელ წარმომადგენელს საპაიჭაოშიც მოაწყოს ორგანიზაცია და მომავალ ს. დ. კომიტეტის კრებაზე მოიყვანოს წარმომადგენელი. მთელ სამტრედიის რაიონში, მოხსენებიდან გამოირკვა, სულ ყოფილა 3000-დე პარტიის წევრი. კრებამ ხუთი კაცისაგან, ფარული კენჭის ყრით, აირჩია გრიშა ურუშაძე, ივანე სტურუა, არჩიპო ახობაძე, მოსე ბერძენიშვილი და კიმ. შენგელია რაიონულ ს. დ. კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროში.

ია.

თფილისი.

10 მაის შესდგა 1 რაიონის კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. კრება.

დაადგინეს: რადგანაც საყოფი პროპაგანდისტები არ გვყავს, დაევალოს რაიონულ კოლექტივს ან ადგილობრივ კომიტეტს გამოსცეს შესაფერი წიგნაკები.

პასუხისმგებელ კორესპოდენტათ აირჩა დ. კახელაძე.

საოლქო სიეზდის მოწვევის შესახებ აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა მოკლე ხანში შეადგინოს წევრების სია. მოიწვიონ საჩქარო არა ჩვეულებრივი კრება სიეზდის დღიურ წესრიგში დასმული კითხვების გასარჩევათ.

რადგანაც რკინის გზის სახელოსნოში იქყობა შემარიგებელი კამერა, წევრებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და ეცადონ სასურველი პირები გაიყვანონ. მოეწყოს კრებები, და აეხსნას რკინის გზის მუშებს კამერების დაარსების მნიშვნელობა.

მუშათა კლუბის მოწყობის შესახებ დაადგინა დაევალოს კომისიას მოსძებნოს შესაფერი ადგილი.

№.

რევოლიუცია პროვინციაში.

ქ. გორის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. 5 მაისს შესდგა გორის აღმასრულებელი კომიტეტის კრება, რომელზეც მოწვეული იყო გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლები. კრების საგანი იყო მომრიგებელ შუამავლების ლიკვიდაცია. კრება გახსნა ამხ. დ. ონიაშვილმა და მოკლეთ განმარტა კრების მოწვევის მიზეზი და კრებას სთხოვა თავმჯდომარის დასახელება. კრებამ ერთხმათ დაასახელა ამხ. დ. ონიაშვილი.

კამათის შემდეგ გადასწყდა ერთხმათ, რომ გაუქმდეს მომრიგებელი შუამავლები. რაც შეეხება ჯარისკაცთა ოჯახების ფულის დარიგებას, გლეხთა საბჭოებმა მხოლოდ ცნობები მიაწოდონ თუ ვინ არის დახმარების ღირსი და კანტროლი გაუწიოს ფულის დარიგებაზე. საბალახოების და ღალის კითხვის მოსაწესრიგებლათ აირჩიეს გლეხთა მომრიგებელი კამერები, რომლებიც გაუწევენ ხელმძღვანელობას.

ტანჯული მუშა.

ხოფ. კეხის-ჯვარი. აქ მუდამ წელს იმართება საეკლესიო დღეობა „სარკეობა“, წელსაც აურიცხელმა ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ ეს თავყრილობა დიდათ განსხვავდებოდა წარსულიდან. დღეს ნაცვლად საეკლესიო დროშებისა მედიდურათ ფრიალებდა წითელი დროშა. დილის ათ საათზე გაიხსნა მიტინგი და ხალხი სულგანაბული უსმენს ორატორებს; კრებამ დაადგინა: ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო, მოუწოდონ დეზერტირებს დაუყონებლივ დაბრუნდნენ თავთავიანთ ნაწილებში. შემდეგ მიტინგმა მოითხოვა აერჩიათ ოთხი კაცი, რომელსაც დაევალეს სანთლის გაყიდვა და ნებაყოფლობით შეწირულების მოგროვება, რომლის წმინდა შემოსავალი გადასწყვიტეს მოახმარდეს რაიმე კულტურულ საქმეს. დღესასწაულზე სანთელი გაიყიდა 692 მანეთის. წმინდა მოგება დარჩა 450 მან. 80 კაპ. შემოწირული ხორციდან და ტყავიდან შემოვიდა 268 მან. სულ ამ დღესასწაულზე შემოვიდა წმინდათ ყოველივე ხარჯს გარეშე 718 მ., რომელიც გადაეცათ არჩეულ პირთ.

მუშა გორელი.

სოუჯ-ბულახი (სპარსეთი). თავისუფლების ქარიშხალმა აქაც გამოგვიქროლა. აღფრთოვანებული შეხვდა ჯარი ამ ბედნიერ დღეს. ყველა როტებში და კამანდებში გააკეთეს წითელი დროშები. დღე გამოშვებით იმართება მიტინგები, ორატორები ლაპარაკობენ, ჯარიც სიხარულით ისმენს და სრული წესიერებაც სუფევს. აქ იმყოფება ქართველთა მსროლელი 1 პოლკი, კაზაკები და რუსებიც. მიტინგზე ყველანი ერთათ იყრიან თავს და ამიტომ ორატორები ლაპარაკობენ რუსულ-ქართულად. ქართველმა ოფიცრებმა მოუწოდეს ჯარს მხარი დაეჭირათ ფედერალისტებისათვის და მოეთხოვა ავტონომია, მაგრამ ჩქარა ჩააჩუმეს. ექვსი მათგანი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს. აპატიეს ეს პირველი შეცდომა და წინადადება მისცეს, რომ შემდეგ არ გაიმეორებიათ ეს. აქ მოვიდა რუსეთიდან ქურთების წარმომადგენელი, რომელიც მოუწოდებდა ქურთებს შეგნებისათვის, რომ მათაც მოიპოვებიათ თავისუფლება და მოესპოთ ბატონყმური ცხოვრება. მან მოუწოდა აქაურ ბატონების წინააღმდეგ ამხედრება. ამ ამბავმა დიდი გავლენა იქონია ქურთებში.

ი. მოისრაფიშვილი.

პროვინციის ცხოვრება.

ზარიფ-ხანა (სპარსეთი). ამ ჟამათ აქ სამი როტა დგას. ერთი 35 კავკასიის სატრპო ბათალიონის მესამე როტა და დანარჩენი ორი სამუშაო როტა. ჯარში მშვენიერი კეთილი განწყობილებაა. ყველანი გამსჭვალულია ერთი და იგივე აზრით: რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებით. როტებს ყავთ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და საერთო საქმეს უძღვებიან. ჯარი გადაჭრით მოითხოვს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს, მარა იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის სოციალისტები მის წინააღმდეგ წავიდნენ, მაშინ უკანასკნელი სისხლის წვეთამდი იბრძოლებს და რუსეთის თავისუფლებას დაიცავს. სხვა აქ გვაქვს წიგნთ-საცავი სამკითხველო. ლექციების კითხვაც კვირაში სამჯერ ხდება. მადლობის ღირსი არის აქაური კომენდანტი, ვალენჩი, რომელიც სალდათებს ისე ეპყრობა, როგორც კეთილი მამა თავისს შვილებს. მადლობის ღირსია აგრეთვე, აქაური ფოსტა-ტელეგრაფის რუსი მოხელე, რომელმაც კეთილი ინება და მუშათა ს. დ. ორგანიზაციას ასი მანეთი შესწირა.

ანტონ კაკუდერია.

ს. ხრიალეთი (გურია). აქ არსებობს ერთ კლასიანი სამ. სკოლა, უფასო სამკითხველო და მომხმარებელი დუქანი „ძმობა“. წინეთ ეს სკოლა ორკლასიანი იყო, მაგრამ ზოგიერთი სოფლის მამების წყალობით ერთ კლასიანათ გადააკეთეს. სამწუხაროთ სკოლას საკუთარი შენობა არ აქვს და ნაქირავებ სახლში არის მოთავსებული.

საჭიროა დაუყონებლივ იქნას ზომები მიღებული, რათა მომავალი სასკოლო წლისთვის იყოს მოხერხებული შენობა აგებული. საჭიროა აგრეთვე ხალხისათვის გულშემატკივარი და სწავლა ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლების გამოძებნა, რადგან ეხლანდელი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. სამკითხველო სადგურზე დაშორებულია და ჟურნალ-გაზეთები დროზე არ მოდგის. სახსარიც არა აქვს, რომ კაცი დაიჭიროს და აგზავნონ სადგურზე. თითქმის მთელი წელია, რაც ამ სოფელში გაიხსნა მომხმარებელი დუქანი „ძმობა“, მაგრამ ვერც ის არის რიგზე დაყენებული. ჭრელი წლის განმავლობაში რვა ნოქარი გამოიცვალა, რამაც დიდათ შეაფერხა საქმე.

ერმილე ჩხაიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს სულ 52 ცალი წიგნი და ერთ დიდ კარდონზე ალექსანდრე ყაზბეგის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას სურათები ჩარჩოში ჩასმული მინით.

გამგეობის თავმჯდომარე
ოლღა ხოფერიახი.

ს. ზიიხ (სამეგრელო) ე. ნინოშვილის სახელობის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს ზოგიერთებმა, ყველა მათ გულითად მადლობას ვუძღვნით.

გამგეობის მონდომილობით **ბ. ჯორჯიკაია.**

მადლობას უცხადებთ მოქალაქე კირილე სოფ. დუმბაძეს, რომელმაც ქ. ნოვოროსიისში თავის ნაცნობ ამხანაგებში შემოქმედის წიგნთსაცავსამკითხველოს შეუგროვა სამოცდა შვიდი მანეთი და აგრეთვე იმ პირთ, ვინც არ დაიზარა და კეთილ ინება წვლილის გაღება შემოქმედის სამკითხველოს სასარგებლოთ. მადლობას ვუცხადებთ გრიგოლ რ. თავდგირიძეს და იოსებ მ. ქარცივაძეს, რომლებმაც ათ-ათი მანეთი შემოსწირეს ადგილობრივ სამკითხველოს განსვენებული ანეტა დუმბაძის ხსოვნის აღსანიშნავად.

მადლობას ვუცხადებთ მიხეილ ს. შარაშიძეს, რომელმაც ხსენებულ სამკითხველოს შემოსწირა ხუთი თუმნის წიგნები.

გამგეობის წევრი კოლია კ. ჩხატარაიშვილი.

უღრმეს მადლობას უცხადებთ მოქალაქე დავითი ა. მელაძეს, რომელმაც შეაგროვა 90 მ. ბაქოს საშუალო სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე წრის სასარგებლოთ. გულითად მადლობას უძღვნით აგრეთვე შემომწირველთ.

მოსწავლეთა კახის გამგეობა.

25 აპრილიდან კარლო ჩხეიძის სახელობაზე მის სამშობლო ს. ფუთში გაეხსენით უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც უფულობის გამო დროებით მოთავსებულია ფუთის პირველდაწყებით სკოლაში.

მოვმართავთ მოწოდებით ფუთელებს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებთ და საზოგადოთ ყველა იმათ, ვინც ხალხის გათვითცნობიერებაში დაინტერესებულია, აღმოგვიჩინოთ მატერიალური დახმარება, როგორც თქვენი მხრით, აგრეთვე ნაცნობ მეგობრებში შემოწირულების შეგროვებით. მისამართი: სად. შორაპანი, აგაფონ [illegible] ფუთის სამკითხველოსთვის.

ფუთის სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე **აგაფონ გუნიავა.**

ს. კონტუათში (ხონის რაიონი) ამა წლის პირველ აპრილიდან გაიხსნა სამკითხველო ეგ. ნინოშვილის სახელობაზე, რომელსაც სხვა და სხვა პირებმა შემოსწირეს 188 მან. 90 კ. ზოგიერთებმა გამოგვიწერეს ჟურნალ გაზეთები. ყველას უღრმეს მადლობას ვუცხადებთ. იმედია ამათ აღმოუჩნდებათ წამბაძველები. ყოველივე შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Хони (Кут. уѣзд.) Лизѣ Рухадзе.

მონდომ. გამგ. წევრი **ზ. ჩარგეიშვილი.**

თფილისის ენფიანჯიანცის ქარხნის მუშებს! ერთი წერილის გამო თქვენ გამიწვიეთ სამედიატორო სამართალში. ამიტომ ვნიშნავ ახალ ვადას ესე იგი 21 მაისს. ვთხოვ მედიატორებს გაარჩიონ დაუყონებლივ ეს საქმე. ჩემის მხრით ვნიშნავ მედიატორებათ: პარმენ ქაჯაიას და ილარიონ დარახველიძეს. მეპასუხის მხრით მედიატორებათ: გიორგი ერაძე და ვანო ბოლქვაძე.

მოწმეთ ვნიშნავ ა. დარჩიას და ეკითხოს მთელ ქარხნის მუშებს, რომლის გადაწყვეტილებაზედაც თანახმა ვარ.

ნ. პატარა მუშა ქალი.

ღია წერილი მამა სილიბისტრო ხუნდაძეს.

7 მაისს სამტრედიის ფილიალურ განყოფილების მასწავლებელთა საზოგადო ყრილობაზე არჩეული საგამომძიებლო კომისია, რომელშიდაც შედიან მასწავლებელნი—კირილე რუხაძე, ნადია ბაღდავაძე და მარიამ ნაფეტვარიძე—გთხოვს დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ათი დღის განმავლობაში იქონიოთ მზათ ყოველივე საბუთები თქვენს და მღვდელ პორფირე კანდელაკს შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ და აგრეთვე თქვენი უკმაყოფილების ხსენებულ ფილიალურ განყოფილების გამგეობისადმი. ეს ცნობები მოთხოვნისას უნდა წარმოადგინოთ დ. სამტრედიაში, სადაც იმ დროს იქნება კომისია.

მასწ. **კირილე რუხაძე.**

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯ. კ. მიხეილ იოსების ძე შარმიაშვილი მსახურობდა სპარსეთში კავკასკი პოგრანიჩნი ქვეითა პოლკში 4 როტაში. ცხრა თვე არის იმის შესახებ არა ვიცით რა. თუ ვინმემ იცით რამე გვაცნობეთ შემდეგი ადრესით: სიღნაღი სოფ. ჯიტორი მაქრო შარმიაშვილი.

— ჯ. კ. ხინო (იგივე კაკია) სიმონის ძე კალანდაძე, მსახურებდა კავკ. მომქ. ჯარში ქართველ ცხენოსან პოლკში 1 ესკადრონში. ვთხოვთ თუ ვინმემ იცის იმის შესახებ რამე გვაცნობოთ შემდეგ მისამართით: ქ. ოზურგეთი, დ. ხიდისთავი, სიმონ მიქელას ძე კალანდაძეს.

— ჯ. კ. ვასილ გიგოს ძე შამათარიძე მსახურობდა კავკ. მომქმედ ჯარში მე-7 კავკ. მსროლელ პოლკში 1 როტაში. დიდი ხანია რაც მისი ამბავი არ გაგვიგია, თუ ვინმემ იცის მისი რამე ან სად იმყოფება, ვსთხოვ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. სამტრედია, ს. ვანი, (ქუთ. მაზრა) გიგო შამათარიძე.

— წელიწადია რაც რომ ჩემი ძმა ივანე მიხეილის ძე ჯავახიშვილი მსახურებდა პირველ სტრელკოვი ორენბურგის დრუჟინაში მეორე როტაში, მომქმედ ჯარში და არაფერი ვიცით, თუ რაიმე იცით გვაცნობეთ შემდეგი მისამართით. სად. ზეიჩაური (კახ. რკ. გზა), ს. კანდაური, იოსებ ჯავახიშვილს.

— ჯ. კ. მიხაკო ილარიონის ძე სანიკიძე სოფ. ტობანიერიდან მსახურებდა კოვნოში, ეფრეიტორი 2 როტა, 109 ვოლჟინის პოლკში, რომლის შესახებ ორი წელიწადი ნახევარია მისმა მშობლებმა არაფერი იციან. კირილე კონსტანტინეს ძე სანიკიძე მსახურობდა კავკ. ფრონტზე 18 კავკ. მსრ. პოლკი, 8 როტა, 1 ზვოდში, რომლის შესახებ რვა თვეა მისმა მშობლებმა არაფერი იციან, რისთვისაც სთხოვენ ქართველ ჯარის კაცთ თუ რაიმე იციან აცნობონ გაზეთის საშვალებით დ. სამტრედიაში სიმონ პეტრეს ძე სანიკიძეს.

— სარიკამიშიდან მომავალ თფილისში სანიტარნი მატარებელში № 4-ში 22 აპრილს გარდაიცვალა ჯარის კაცი გიორგი ალექსის ძე ჩიტაური, თიანეთის მაზრის ს. ზარიზიანკალის მცხოვრები. ცხედარი ჩავაბარეთ ქ. ალექსანდროპოლში.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.